ეგი

№ 8

შ ი ნ ა ა რ ს ი:

პოლიტიკური ვითარება—***; კავკასიის ახალი ჭირისუფალნი—**ალაროდიელისა**; დექსი—**თ. რ. ერისთავისა**; დედა სოფაჟი—**გი დე მოპასანისა**; ჩეხია—**გ. გვაზავასი**; გველო!—**ი. გრიშაშვილისა**; მიწა საქონელია, ზიესა 2 მოქ.—**გიორგი ფოცხოველისა**; კეისრის ტოლის ძეგლი—**შ. ამირეჯიბისა**; ნუცალ ხანი—**ივ. ბუქურაულისა**;

წერილი რედაქციის მიმართ—**გ. გვაზავასი**;

კვირა, 28 მარტი — საპოლიტიკო, სამეცნ. და საალიტ. ჟურნალი — 1910 წ.

პოლიტიკური ვითარება.

—:—

რუსეთის სახელმწიფოებრივი განვითარება თვალუწვდენელ მიდამოზე მცხოვრებ ხალხთა თანდათან გარუსებაშია. დღევანდელ რუსში ბევრად სჩქეფს მონგოლის, ფინის და სხვა ხალხის სისხლი. თავის მსვლელობაში რუსობა ბევრს ხალხს წააწყდა, მაგრამ ამ ხალხებში მეტად მცირედი იყო კულტუროსანი, თავის ეროვნულ სახის მქონე, და ამიტომაც მათი დაძლევა, გათქვეფა და მოსპობა არც ისეთი ძნელი იყო. ხოლო იყო არა ერთი და ორი მაღალი კულტურის და ისტორიის მქონე, ესენია პოლონელები, ფინლანდელები, ლიტოველები, ესტონელები და სხვები; მათი მოსპობა, მათი გათქვეფა ყოველად შეუძლებელია. პოლონელი პოლონელია სანამ მას ფიზიკურად არ მოსპობთ. და აი ვეებერთელა რუსეთის მიდამოზე თანდათან ჩაღდება ეროვნული ბრძოლა. პოლიციური სახელმწიფო, შეიარაღებული მთელი თავისი ძალდატანებითი უფლებით, განუსაზღვრელად მომქმედი, უარმყოფი ყოველივე, არამც თუ ეროვნულ, პიროვნულ თავისუფლებისაკი, კრიჭაში უდგება დამორჩილებულ ერებს და მოსპობას უქადის მათ. რუსი თავის სახლში მასსიურად უვიცი და განუვითარებელი, სხვასაც უხშავს განვითარების და წინსვლის გზასა: გარუსების პოლიტიკა თანდათან ფეხს იკიდებს. ნურავინ იფიქრებს, რომ ამ პოლიტიკას მარტო მთავრობა აწარმოებდეს. კაცობრიობის ისტორიას თუ თვალს გადაავლებთ, ვერ იპოვით ვერც ერთს წუთს, როცა, ერთა შორის თანხმობა ყოფილიყოს. პირ-იქით, კაცობრიობის ისტორია ერთა შეუწყვეტელი და შეურიგებელი ბრძოლაა ყოველ ნიადაგზე. ერთი მეორის დამონებას და გასრესას სცდილობს. ჩვენ თვალწინ კორეის იმპერია იაპონიას ჩაუვარდა ხელში და გაბატონებული იაპონელი უკვე შეუდგა თავის სალუკმოს გასრესას. სამას მილიონიან ინდოეთს ჰფლობს ინგლისი, რომელიც რაც დრო გადის და ინდოელთა ეროვნული შეგნება იზრდება, იმდენად სიმშვიდეს ჰკარგავს და სასტიკ ზომებს არ ერიდება. დესპოტიური სპარსეთი სცდილობს გამოღვიძებას და განახლებას, მაგრამ ძვირფასი მეზობლები ათასგვარ დაბრკოლებას უღობავენ წინ, რადგან კარგად იციან, რომ, რამდენად ხალხი სუსტია, იმდენად მისი გაყვლეფაც ადვილია. მთელი მეცხრამეტე საუკუნე ავსტრიაში ერთა ბრძოლის საუკუნედ გადაიქცა და დამონებულნი თანდათან თავისუფლდებიან გაბატონებულთა კლანჭებისაგან. გერმანიაში მომწყვდეული პოლონელნი საოცარის თავგამოდებით იცავენ როგორც თავის მიწა-წყალს, ისე თავის სულიერ კულტურასაც. მთელ დედამიწის ზურგზე დამონებული ერნი თანდათან წელში მაგრდებიან, ანვითარებენ თავის შინაგან ძალას და სრულ განთავისუფლებისაკენ მიისწრაფვიან.

რასაკვირველია, რუსეთიც ვერ ასცდა ასეთს ბრძოლას. აქ ჩვენ ვხედავთ მეტად მრავალ-ფეროვანს სურათს. რუსეთში სცხოვრობს გარდა ველიკორუსებისა ბევრი ხალხი. და ყველა ეს ხალხი სცდილობს იცოცხლოს. ხოლო, რადგან ისინი განვითარების სხვა და სხვა საფეხურზე არიან, ამიტომაც ბრძოლის სურათიც სხვა-და-სხვანაირია: ერთი რომ სცდილობს თავის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებაში შემუშავებული სახე შეინარჩუნოს, მეორე იმის ცდაშია, რომ გამოირკვეს, შეჰქმნას თავისი მწერლობითი ლიტერატურა და ამნაირად ისტორიულ ცხოვრებაში ფეხი შესდგას.

ხოლო რუსეთის იმპერიაში არის ერთად-ერთი ხალხი, რომელმაც ნაკლებ გამოსცადა რუსის ბიუროკრატის ტლანქი ხელის შეხება,—ესაა პატარა სამთავრო ფინლანდია. თავიდგანვე ავტონომიის მქონე, შინაურ საქმეებში დამოუკიდებელი ფინლანდია ასი წლის განმავლობაში ისე განვითარდა, ისე დაწინაურდა, რომ საუცხოვო კულტურულ მხარედ

გადაიქცა და ევროპის ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა.

მაგრამ ეს მისი წარჩინება, ეს მისი მშვიდი და ძალუმი წინსვლა მოსვენებას არ აძლევდა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების ხელმძღვანელთ. და აი კიდეც საწადელს მიაღწიეს. მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომლითაც სრულიად უქმდება ფინლანდიის სახელმწიფოებრივი სახე და ავტონომია უბრალო საერობო თვითმმართველობად იქცევა. დღეს ეს კანონ-პროექტი გადაეცა განსახილველად სახელმწიფო სათათბიროს, ამ რუსეთის ვითომდა პოლიტიკურ განვითარების გამომხატველს. მაგრამ აქედგანვე დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სათათბირო მთავრობას მხარს მისცემს და კანონ-პროექტს კანონად აქცევს... ამით შეეცდებიან დაანგრიონ ფინლანდიის საარსებო შენობა და შეიჭრას შიგ ის თვითნება ძალა, რომლის თარეშობა ისე შემავიწროებელი და შემხუთველია, რომ ბევრად ასუსტებს ხალხში წინსვლის სურვილსაც. მაგრამ ფინლანდია იმდენად დაწინაურებულია, ფინლანდიის მოქალაქე იმდენად წინ-წასული და შეგნებულია, იმდენად ღრმად აქვს მას გარკვეული თავისი ვინაობის დაცვის საჭიროება, ისეთ ძლიერ მოთხოვნილებად გადაექცა მას პოლიტიკური თავისუფლება, რომ ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ეს მცირედი ერი მშვიდი და დინჯი მაშინაც, როცა საბელს კისერზე ახვევენ, შესძლებს, ყოველი დაბრკოლება გადალახოს და თავისი მიმზიდველი სამაგალითო ვინაობა შეინახოს, რათა წინანდებურად განაგრძოს თავისი კულტურული წინსვლა.

კავკასიის ახალნი ჭირისუფალნი

(დასასრული)

—:—

ჩვენ დაწვრილებით არ შევეხებით ბ-ნ კოტელნიკოვის წერილის თეორიულ ნაწილებსა. ამ წერილის თავში (Къ національному вопросу на Кавказѣ, №3) მას ერის უფლებაზედ აქვს ლაპარაკი, და ვერაფერს ახალს ვერ ამბობს, გარდა ჩვეულებრივ პოლიტიკანურ ფრაზებისა: გაბატონებულმა ერმა უნდა იბატონოს, დაჩაგრულ ერთა კულტურული განვითარება საშიში არ არის სახელმწიფოსათვის, ერთსა და იმავე სახელმწიფოში მცხოვრებ მეზობელ ერთა შორის სოლიდარობა, ურთიერთის პატივის-ცემა და ნდობა უნდა იყოსო ჯ სხვა. —ყოველივე ისე ტრუიზმია პოლიტიკანობასთან შეზავებული, — პოლიტიკანობასთან შეზავებული სწორედ, რადგანაც ბ-ნმა კოტელნიკოვმაც ძლიერ კარგად იცის, შეიძლება, რომ კულტურის განმტკიცების შემდეგ ის ერი, რომელსაც ოდესღაც ჰქონია ბრწყინვალე პოლიტიკური ცხოვრება, ყოველთვის მიისწრაფვის პოლიტიკურ დამოკიდებულობის დაბრუნებისაკენ. გაბატონებულ ერთა სახელმწიფოებმა ძლიერ კარგად იციან ეს საერთო ბუნებრივი მოვლენა პყრობილ ერთა ცხოვრებაში, და ბ-ნ კოტელნიკოვის დარიგება არ სჭირდებათ, — კარგად იციან, როგორც უნდა მოექცენ ამ პყრობილ ერთა კულტურასა. ერის უფლების ასეთმა თეორიებმა თავის დრო მოსჭამა, იგი მხოლოდ «державная нація»-ს ბეცს წარმომადგენლებს თუ მოეჩვენება საფუძვლიანად და კეთილს თვალს მიაპყრობინებს ლოიალურ „ინოროდცებისაკენ“.

გაცვეთილია ის აზრიც, რომ მეზობელ ერთა სოლიდარობა და თანხმობა საჭიროა; ჩვენ ამისი არაფერი წინააღმდეგი არა გვაქვს, მაგრამ როდესაც ბ-ნი კოტელნიკოვი არა-ნაკლებ გაცვეთილ და ყალბად გაგებულ მარქსიზმის თვალთახედვით სომხებს ქართველთა ფეოდალიზმს აქცევინებს, დემოკრატიზმს აშობინებს და ამ ნიადაგზედ ზრდის ჩვენ უთანხმოებას,—არა მგონია იგი ამით ხელს უწყობდეს ჩვენ შორის სოლიდარობასა და მით უმეტეს ნდობასა.—

ბ-ნი კოტელნიკოვი დეპუტატ ტიგრანიანცის აზრით ხელმძღვანელობს. ტიგრანიანცმა კი სხვა „მართალ“ აზრებთან ერთად ის აზრიც გამოსთქვა თავის წერილში სომხების შესახებ (Формы національнаго движенія въ современныхъ государствахъ), რომ სომხების ბურჟუაზიული კლასი ებრძოდა ქართველთა და თათართა ფეოდალიზმს, აგრეთვე მთავრობის პოლიტიკამ გადაჰკიდა ერთმანეთს ეს სამი ხალხიო და სხვ.—დავანებოთ თავი მთავრობას,—ვიცით მისი როლი და განწყობილებაც დაპყრობილ ერთა მიმართ. მისი პოლიტიკითაც არ აიხსნება სრულიად ჩვენი უთანხმოება.—მაგრამ ან ტიგრანიანცი და ან კოტელნიკოვი რას ჰფიქრობენ, როდესაც მარქსის კლასსთა ბრძოლის თეორიით ყალბად სარგებლობენ და სომხის ბურჟუაზიის აღორძინებითა ხსნიან ჩვენს ფეოდალიზმის დაცემასაც და კავკასიის ერთა შორის უთანხმოებასაც? ნუ ავიწყდებათ პატივცემულ ავტორთ, რომ მაგალითად საქართველოში ორი კატეგორიის სომხობა სცხოვრობს: ქალაქისა და სოფლისა. ქალაქის სომხობას ჩვენში ისეთივე როლი უთამაშნია, როგორც ებრაელებს ევროპის სხვა და სხვა ერთა ცხოვრებაში. სოფლის სომხობა მთლად ერთიანად გაქართველებული იყო და დღესაც არის—იგი არაფრით არ განირჩევა ქართველ გლეხობისაგან. როგორც ებრაელებს არ დაუციათ ფეოდალიზმი

საფრანგეთში და გერმანიაში, პოლონეთში და სხვაგან,—ისე სომხებს ჩვენში*) არასოდეს არ გამოუჩენიათ ასეთი სასწაულთმოქმედება. საზოგადოდ ეროვნული, მძლავრი, განვითარებული ბურჟუაზია გამოდის ფეოდალიზმის წინააღმდეგ, როგორც ორგანიული ნაწილი ერისა, მოწინააღმდეგე ფეოდალობისა, ერისავე ორგანიულის ნაწილისა. ამ ორ ერთისავე და იმავე ეროვნების კლასსის შორის ბრძოლას აქვს სოციალური მნიშვნელობა, რადგანაც ორივე კლასს იგივე. **ეროვნულ**— სოციალური იდეალი აქვს, მხოლოდ სხვა ფორმისა. მხოლოდ ასეთი ბრძოლა არის ის „კლასთა ბრძოლა“, რომელიც ერის მთელ შინაგან ცხოვრებას ფერს უცვლის, — ხოლო უცხო ერის ბურჟუაზიის ბრძოლა ეროვნულ ფეოდალიზმის წინააღმდეგ არასოდეს არ არის მარტო შინაგანი „ეკონომიური ბრძოლა, არამედ იგია აგრეთვე ეროვნული, რადგანაც გაკადნირებულს უცხოს დემოკრატიზმი კი არა,—ეროვნული ბატონობის მოხვეჭა აინტერესებს, დასუსტებულ ერის დამონება. აქ დემოკრატიზმს უცხო ბურჟუაზიისას არასოდეს ადგილი არა აქვს. ეროვნული ბრძოლა კლასთა ბრძოლის მაჩვენებელი არ არის, არამედ კლასთა ბრძოლა—ზედ-მეტი საშუალებაა ერთი ერის მეორეზედ ბატონობისა. ამ წმინდა ეროვნულ ნიადაგზედ ჩნდება ერთა წინააღმდეგობა. მაგრამ ჩვენში რომ არც ეს ძლიერი ბურჟუაზია ყოფილა სომხისა! — ბაზაზები, ნამდვილი აზიელი ვაჭრები და სოფლის ჩარჩები, აი სომხის ბურჟუაზია ჩვენში! არ ვიტყვით, — მათაც ხელი შეუწყვეს ჩვენის ფეოდალიზმის დაცემას. მაშ ჩარჩი რის ჩარჩია, თუ ირგვლივ თავად-აზნაურობა ᲩᲔ გლეხიც არ გაყვლიფა! ხოლო ის ფაქტი, ვითომც მათ შორის დიდი ბრძოლა ყოფილიყოს სოციალურ იდეალთა ნიადაგზედ, ის ფაქტი, ვითომც სომხის ჩარჩებსა და ბაზაზებს დემოკრატიზმი შემოეტანოსთ და ამისათვის დამდურებოდნენ ფეოდალები, — ტიგრანიანცისა და კოტელნიკოვის ფანტაზიის ნაყოფია. არსად ჩარჩსა და ბაზაზს დემოკრატიზმი არ შეუტანიათ, განსაკუთრებით უცხო ჩარჩსა და ბაზაზს, და ეს სომხის ჩარჩობა და ბაზაზობა რაღა ისეთი სასწაულთ-მომქმედი გამოჩნდა, რომ ჩვენში დაამკვიდრა დემოკრატიზმი! ბ-ნი კოტელნიკოვი ბ-ნ ზ. ავალიშვილის აზრს ეთანხმება, — სომხები ჩარჩები და ბაზაზები არიანო, — მაგრამ მაინც დემოკრატიულ სასწაულთ-მოქმედებას აწერს მათ.—ან ნეტავ სად, როდის იქადაგეს ჩვენში დემოკრატიზმი სომხის ინტელიგენტებმა და ბაზაზებმა?—ან თუ იქადაგეს, — ვისთვის და რომელ ენაზედ? ქართველმა საქართველოში სომხური არ იცის, სომხებმა კი თითქმის ყველამ იცის ქართული და ბევრმა სომხურიც არ იცის. კიდევაც რომ ექადაგნათ ასეთი დემოკრატიზმი,—ვინ გაიგონებდა: ქართველი, თუ სომხურის არ-მცოდნე უმეტესი ნაწილი სომხობისა?—საკვირველია, კოტელნიკოვისაგან შეთხზული ჭორი რომ არ იყოს პეტერბულღელთა მოსატყუებლად.

ქართველთა ფეოდალიზმის დაცემაში სომხობა მაინცა და მაინც არაფერ შუაშია. ქართული ფეოდალიზმი უპირველეს ყოვლისა ქართველმა **გლეხობამ** დასცა. მთელი ასის წლის განმავლობაში გლეხთა მოძრაობა არ შეწყვეტილა საქართველოში, ეს ძლიერ კარგად უნდა მოეხსენებოდეს ბ-ნ კოტელნიკოვს. მთავრობა ხელს უწყობდა ყოველთვის თავად-აზნაურობას და გლეხების მხარე არასოდეს არ დაუჭერია გულ-წრფელად და მათ სასარგებლოდ. ეს გლეხობამაც კარგად იცოდა ჩვენში და თავად-აზნაურობამაც. 1804 წლიდან პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა ხან უცხო მთავრობის წინააღმდეგ მთელი ერისა, ხან ფეოდალიზმის წინააღმდეგ გლეხობისა — არ შეწყვეტილა ჩვენში და. იგი დამთავრდა უკანასკნელის დიდის მოძრაობით, რევოლუციით, რომელიც ბ-ნ ავალიშვილსაც სრულიად უსაფუძვლოდ ჰგონია რუსეთის ლიბერალიზმისა და სოციალიზმის ნაბიჭვარი. ბ-ნ კოტელნიკოვსაც მეტს „ნდობას“ გამოვუცხადებდით, ერთი სიტყვითაც რომ მოეხსენებინა ეს დიდი მოძრაობა თავის მართლის მღაღადებელ წერილში. ამას გარდა, კიდევ უფრო „ნდობის“ ღირსი იქნებოდა ბ-ნი კოტელნიკოვი, რომ ავალიშვილისᲩ ტიგრანიანცის წერილების გარდა ივ. ჯავახიშვილის პატარა წიგნიც წაეკითხა ქართველ ხალხის მოძრაობის შესახებ... (Политическое и соціальное движеніе въ Грузіи въ XIX вѣкѣ), გლეხთა მუდმივი მოძრაობა, თავადაზნაურობის ჩაყენება ახალ პირობებში, რომელიც მისთვის სომხობამ კი არა, რუსის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებამ დაამკვიდრა, ახალი მოთხოვნილებანი ჩვენ ფეოდალთა და მუშაობის უნიჭობა, რამაც მათ ადგილმამული დაიკარგვა, ბოლოს რევოლუცია ქართველი ხალხისა, და არა სომხის ბურჟუაზიისა, რომელსაც არავითარი მონაწილეობაც არ მიუღია ამ მოძრაობაში,—აი რამ დასცა ფეოდალიზმი და არა სომხის ჩარჩმა და მისმა დემოკრატიზმმა.

—ქართველი ფეოდალები გადაემტერენ სომხებს, რადგანაც ვერ დაევიწყებიათ ამ უკანასკნელთა ბრძოლა ფეოდალიზმთან. ამასთანავე სომხების გონებრივი განვითარება მაღლა იდგა ქართველებისაზედ, ვითარდებოდა ქალაქებში და სოფლებში სომხის დემოკრატიზმი, ქართველების დემოკრატიული ნაწილი კი ისევ თავად-აზნაურულ იდეების გავლენის ქვეშ იყო.—აი რა ყოფილა მიზეზი ჩვენი უთანხმოებისა.—ტრაბახიც ასეთი უნდა. სად იყო.

*) შეიძლება თათრული ფეოდალიზმი დასცეს სომხებმა,—არ ვიცით.

ჯერ ერთი, სომხების გონების უპირატესობა ქართველებისაზედ მთელ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში? — ლიტერატურით, მეცნიერებით, თუ რით გამოიხატა იგი, — ეს ალბად ბ-ნ კოტელნიკოვს ეცოდინება. რა იდეებს ჰქადაგებდა ჩვენი ინტელიგენცია ამავე საუკუნის განმავლობაში და როგორი დემოკრატიზმითაც იყო აღსავსე სომეხთა ქადაგება, — ესეც კარგად ვიცით. საკმარისია ილია ჭავჭავაძის მთელი პუბლიცისტური მოღვაწეობა და მისი კამათი სომხის „ფილოსოფოსთა“ წინააღმდეგ მოვიგონოთ, რომ ბ-ნ კოტელნიკოვს ვამცნოთ ისეთი ახალი და საკვირველი ამბავი (რომელიც, შეიძლება მანაც კარგად იცის, რომ ჩვენში „ფეოდალებიც“ უფრო დემოკრატები იყვნენ სომხის ბურჟუაზიაზედ. — რაც შეეხება ბ-ნ კოტელნიკოვისაგან მაგალითად მოყვანილ ქალაქის თვით-მმართველობასა და სომხის ინტელიგენციის როლს, — მგონი ისიც ცნობილია, რომ ქართველების კამათი მათ წინააღმდეგ სწორედ ამ „დემოკრატთაგან“ დემოკრატიულ პრინციპთა უარ-ყოფა იყო, რომ თავიანთი ბატონობა განემტკიცებინათ ქალაქის თვითმართველობაში. — მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ანგარიშის ხალხის ფსიხოლოგია: დემოკრატიზმიც მაშინ არის მოსატანი, როცა „ჩოთქში“ მოდის, თუ არ მოდის, მაშინ იგი არ ვარგა. რად მიიღო სომხის „ინტელიგენციამ“ უპირატესობა ქალაქის თვითმმართველობაში, — ამას კი აღარ ამბობს ბ-ნი კოტელნიკოვი, თორემ იმის თქმაც დასჭირდებოდა, რომ სწორედ არა დემოკრატიულმა ცენზმა მიანიჭა მათ ასეთი უპირატესობა და ქართველებიც სწორედ დემოკრატიზმის სახელით ებრძოდნენ მათ. — მაგრამ გიჟია ბ-ნი კოტელნიკოვი, ამაზედ კრინტი დასძრას! — სომხებმა უპირატესობა მოიხვეჭეს თვითმმართველობაში, ქართველებმაც იმიტომ შეიძულეს, რომ მათი „უფლებანი არჩევნებში შეზღუდულნი იყვნენო“! დიახ, „შეზღუდულნი“!... მაშ ვინ ყოფილა დემოკრატი, ბ-ნო კოტელნიკოვო, თუ რამე სახარბიელოა ამ დემოკრატიზმში!

მაგრამ, აკი ვსთქვით, სომხის დემოკრატიზმს რაღაც განსაკუთრებული ელფერი ჰქონია თურმე. — სანამ მთავრობა სომხებს უპერდა მხარს, თათრები და ქართველები მათ ვერას უბედავდნენ, მაგრამ, როცა მთავრობამ პოლიტიკურის ანგარიშით სომხებს მტრობა დაუწყო, თათრებმაც და ქართველებმაც ისარგებლეს და ამიტომ დაეტაკნენ ერთმანეთს თათრები და სომხები 1904—1905 წლებში. ამას გარდა მთავრობას, ნამესტნიკის მოხსენებიდან როგორც სჩანს, სულ „დაშნაკცუტუნისთვის“ დაუბრალებია ყოველისფერი, ქუთაისის გუბერნიაში მომხდარი ამბებიც; სომეხთათვის რევოლუციონერება შეუწამებია იქაც კი, სადაც არა სახლობენ. — როგორ მოგწონს, მკითხველო, მთელი ასის წლის განმავლობაში დემოკრატიზმი ავრცელო და იქადაგო, — შემდეგ-კი სხვისი პროვოკაციის წყალობით ბავშვებისა და ქალების ჟლეტით დაამთავრო დიადი საქმე! ეს რაღაც უცნაური მოვლენაა, ასეთი დემოკრატიზმი არსად არა ყოფილა, და არც კავკასიაა ისეთი უცნაური ქვეყანა, რომ რაღაც მანქანებით აქ ნამდვილ დემოკრატიზმის ნიადაგზედ აღმოცენებულიყოს სომეხ-თათართა ჟლეტა. დემოკრატიზმის ზრდა როდესაც ქუჩაში ბრძოლით მთავრდება, ორივე მოწინააღმდეგე მხარეს საკუთარი სოციალური და პოლიტიკური იდეალი აქვს, — ჟლეტის დროს კი არც სომეხს, არც თათარს არავითარი იდეალი არა ჰქონია, გარდა შეთითხნილ და გადაწერილ უცხო პროგრამებისა, სხვების საჩვენებლად, — ეს ფაქტია, რომლის უარყოფაც შეუძლებელია. —

„თუ კლასთა ბრძოლას ეროვნული ელფერი ჰქონდა, თუ სოციალურმა განწყობილებებმა გარეგანი ეროვნული სახე მიიღო, ეს იმიტომ რომ ქართველები და განსაკუთრებით მუსულმანები ჩამორჩენილები იყვნენ და კავკასიის ფეოდალიზმისა და არისტოკრატიზმის წინააღმდეგ მოწინავე მებრძოლებად სომხები გამოვიდნენ. თავად-აზნაურობის წინააღმდეგ ბრძოლაში სომხები გამოვიდნენ არა როგორც ეროვნება, არამედ როგორც კლასსი, **რომელმაც წინ წამოაყენა ახალი დემოკრატიული პრინციპები, ახალი საფუძველნი ცხოვრებისა, უარ-მყოფელნი წოდებრივ განსხვავებათა და აღმსარებელნი მოქალაქეთა თანასწორობისა.**“, ამბობს ბ-ნი კოტელნიკოვი. წოდებრივი განსხვავება თათრებსა და ქართველებს შორის მეტი იყო, ვიდრე სომეხთა შორის, ამიტომაც ფეოდალიზმის მოსპობის დროს თათართა და ქართველთა ინტერესები შეილახა და ბრძოლამაც ეროვნული ელფერი მიიღო, — დასძენს ზემოხსენებული ავტორი.

რა უნდა უყო ასეთ მოლაპარაკე ადამიანს? ამბობს ზეპირად, ან განზრახ სტყუის, ან არა იცის რა. ერთის მხრით, სად, როდის და როგორ გამოაცხადეს სომხებმა დემოკრატიული პრინციპები? ან თუ გამოაცხადეს, რა ენაზედ? თუ სომხურად აცხადებდნენ, — უკაცრავად, ჩვენ არა გაგვიგია რა, რადგანაც საქართველოში სომხურისა არა თუ ქართველებმა, არამედ სომხებმაც არა იციან რა მრავლისუმრავლესმა. მათ რუსულს ნაქადაგებშიაც არა ყოფილა რა დემოკრატიული. ან იქნებ ტერტერები და „დაშნაკცაკანები“ ქადაგებდნენ ამ უმაღლეს დემოკრატიულ პრინციპებს ჩვენში? ან რა შეჰქმნეს ჩვენში ისეთი, რომ დემოკრატიზმის ბუდე ყოფილიყოს? ქალაქის თვით-მართველობა?!... მეორეს მხრით, მთელი იდეური მოძრაობა ქართველთა შორის მესამოცე წლებიდან დაწყებული, რომლის ცენტრალური ფიგურაც ილია ჭავჭავაძეა, — იქნებ სომხის დემოკრატიზმზედ არის დამყნილი? — ან ახალი იდეა სოციალიზმისა, რომელმაც ჩვენში

მთელი მიმართულება შეჰქმნა, მთელი იდეური მიმ-დინარეობა, ძლიერი და ნაყოფიერი, — იქნებ თვით „კვალი“ სომხის დემოკრატებმა შეჰქმნეს? — იქნებ თვით „ს. დ-ების“ პარტია „დაშნაკცუტუნის“ იდეური გავლენის ქვეშ აღმოცენდა? — იქნებ ჩვენ სოფლებში სომხის ინტელიგენცია დადიოდა და ხალხს ფეოდალიზმის წინააღმდეგ ამხედრებდა? — იქნებ მათ შეჰქმნეს მოძრაობა, რევოლიუცია 1904—5 წლებისა, ან იქნებ ამ მოძრაობას, — რიღაი ქართული იყო, -- არა დემოკრატიული ⁄ ფეოდალური ხასიათი ჰქონდა?!

არა, ბატონო კოტელნიკოვო, დემოკრატიზმი, ფეოდალიზმის გაუქმება არც ისეთი რამ არის, რომ ბაზაზებსა და ფეოდალებ, შორის ჟლეტით გათავ-დეს. ფეოდალებიც მარტო ბაზაზის და თავადის შო-რის ეკონომიური განწყობილება არ არის, — იგი ეკონომიურ ურთი-ერთობათა გარდა მთელი კომ-პლექსია იდეათა, რწმენათა და იდეალთა სოლი-დარობისა და წინააღმდეგობისა, როგორც ყოველი განსაზღვრული სოციალური წყობილება ერის ცხოვ-რებაში, და უცხო ელემენტის ბაზაზი და ჩარჩი, ამ ერის ორგანიზმში შემჯდარი, ვერ დაშლის ამ წყობილებას. ამისთვის საჭიროა ძლიერი იდეური ტალღა თვით ერის ცხოვრებიდან აღმოდენილი, და ეს იდეური ტალღაც, სწორედ დემოკრატიული და სოციალური, ჩვენი, ქართული, ეროვნული იყო; მან აამოძრავა ჩვენი ხალხი, ჩვენი მუშა და გლე-ხი, მან წაიყვანა იგი განსაზღვრულ იდეალისაკენ, ძველი ცხოვრების დასამხობად; მან აღავსო კეთილ-შობილური თვისებით მთელი მოძრაობა 1904-1905 წ. ხოლო სომეხ-თათართა ჟლეტას არც სოციალუ-რი იდეალი ჰქონია, არც არავითარი მსგავსი რამ ყოფილა რევოლუციისა, არც არავითარი გავლენა ჰქონია ქართველ დემოკრატიზმზედ. საქართველო არც ისეთი უცნაური ქვეყანაა, რომ უწარ-ულოდ უიდეოდ, სომხის ჩარჩების გავლენით, მთელი რევო-ლუცია გაეჩაღებიოს. მაგისთანა სასწაულები ალბად სხვაგან სადმე ხდება,—ჩვენ კი, ნურას უკაცრავად, თავი დაგვანებეთ, ერთობ ბევრი საკუთარი დემო-კრატიზმი და სოციალიზმი გვაქვს, იმდენი, რომ სომეხს სიზმარშიაც არ მოლანდებია, და სომხისას ნულარ გვიმატებთ.—ეჰ! როგორ იცვალა დრო! ეხ-ლა გვეხარბებიან დემოკრატიზმს. როცა-კი დრო იყო, მაშინ ალბად ბევრი ამბობდა: ,,это Грузинъ бунтъ дэлитъ!'' 1910 წელს, 1904 წლის ექვსი წლის შემდეგ,—ეხლა გახდა დემოკრატიზმი სახარ-ბიელო? მაგრამ რა ნაძლევი, რომ ამ ვაჟბატონებმა ხელ-ახლავ უარ-ჰყონ დემოკრატიზაცია და სოცია-ლიზაცია, კიდევ რომ დაბრუნდეს დრო ქართული „დემოკრატიზმისა“, და შემდეგ ხუთი თუ ექვსი წლისა, ისევ დემოკრიტებად გამოიყვანონ თავი პე-ტერბურღში!..

დიახ, კარგი დემოკრატიზმია: ეროვნული შოვინიზმის რევოლუციად მონათვლა, ჟლეტის უდიდეს სოციალურ მოძრაობად გამოცხადება, თა-ნაც სხვისი დემოკრატიზმის მითვისება ბრძოლის გა-თავების ხუთი წლის შემდეგ და პეტერბურღში ამაზედ ყვირილი, ისე, როგორც თვით ბრძოლის დროს ბათუმში და ოზურგეთში სომხის პარტიებს ააფრია-ლებიეს წითელი **დროშები**... ევროპაში გაგზავნილ წერილებითა და ტელეგრამებით, რასაკვირველია!

კეთილშობილება და სიმართლე, ბატონებო, თორემ არც ნდობა და არც სოლიდარობა არ შეი-ძლება. სოლიდარობაში ქართველები ისე შორს წავედით, რომ საკუთარის პირით დავგმეთ ჩვენი უფლებანიც, მხოლოდ-კი საქართველოში სხვები არ დაგვეჩაგრა. ჩვენი პროლეტარიატი ფულსაც კი ჰკრებდა საფრანგეთის გაფიცულთა შესაწევრად,— სხვა მეტი საკვირველი ფაქტებიც არის ჩვენის ინტერნაციონალურის სოლიდარობისა, — მაგრამ, თუ აღარაფერი გაგვივა არავისთან, აღარც „ძმებ-თან“ და აღარც „ბიძაშვილებთან“, რომელთაც სოლიდარობა ურთი-ერთის უფლებათა აღსარებად კი არა, არამედ მარტო თავის უფლების აღსარებად მიაჩნიათ,—რაც ჩემია-ჩემია, რაც შენია ისიც ჩემიაო, —რა ვჰქნათ, ბრალი მაინც არ დაგვედება მართლ-მსაჯულ ისტორიისაგან.

ისეთს ჟურნალებს კი, როგორც ,,Жизнь Кавказа'' არის და ისეთს მწერლებს, როგორნიც ბ.ბ. კოტელნიკოვი და პონომარიოვია, გულწრფე-ლად ვურჩევთ, ან სიმართლე ილაპარაკონ, ან სულ დაანებონ თავი კავკასიის ხალხთა ჭირისუფლობას. ფაქტების უცნაური ახსნითა, მათი დამალვით, — მთელი რევოლუციის ირგვლივ სიჩუმის კონსპი-რაციითა,—ვერც სიმპატიას მოიმკიან, ვერც ჩვენ გაგვიწევენ მეგობრობასა და ჭირისუფლობას.

,,ნდობა''!—ნდობა ისეთი ადამიანების, რომ-ლებიც რაღაც წარმოუდგენელ მოთხრობებით უჭე-დავენ ყურს უცხო პეტერბურღელ საზოგადოებას... განზრახ, თუ უცოდინარობით, არ ვიცით!...

ალლაროდიელი.

დედა სოვაჟი

ვი დე მოპასანისა

—:—

ᲒᲣᲫᲓᲕᲜᲘ ᲗᲐ—Ს.

I

ვირლონში თხუთმეტი წელიწადია, რაც აღარ დავბრუნებულვარ. შემოდგომაზედ სანადიროდ მივ-ბრუნდი ჩემ მეგობარ სერვალთან, რომელსაც როგორც იყო შეეკეთებინა თავისი სასახლე, პრუსი-ელთაგან დანგრეული.

უსაზღვროდ მიყვარდა ეს მხარე. არის ისეთი საუცხოვო კუთხეები ქვეყნისა, რომელნიც თვალებისათვის წარმტაცი მშვენიერებისა არიან. იგინი უყვარს ადამიანს ფიზიკურის სიყვარულით. ჩვენ, რომელთაც გვხიბლავს დედა-მიწა, ჩვენ დაცული გვაქვს ნაზი მოგონება ზოგიერთ წყაროთა, ზოგიერთ ტყეთა, ზოგიერთ ტბათა, ზოგიერთ ბორცვთა შესახებ, რომელნიც ხშირად გვინახავს და რომელთაც ბედნიერ შემთხვევის მსგავსად დავუტკბივართ. ხან ხან ფიქრიც-კი მიუბრუნდება ხოლმე რომელიმე ტყის კუნჭულს, ანუ რომელიმე ნაჭერს ფერდობისას, ანუ რომელიმე ხეხილის ბაღს, ყვავილებით მოფრქვეულს, მხოლოდ ერთჯელ ნახულთ, ერთს მხიარულ დღეს და ჩვენს გულში ჩარჩენილთ, იმ ქალების სახეთა მსგავსად, რომელთაც ქუჩაში შევხვდებით ხოლმე გაზაფხულის დილას, ლია-ფერ და გამსჭვირვალე სამოსით შემოსილთ, და რომელნიც სულსა და სხეულში გვიტოვებენ დაუწყნარებელსა და დაუვიწყარ სურვილს, გრძნობას ახლოს შენახებ ბედნიერებისას.

ვირლონში, მთელი სოფელი მიყვარდა, პატარა ხეებით მოფენილი და ნაკადულებით დაქსელული, რომელნიც მიექანებოდნენ ნიადაგზედ ძარღვების მსგავსად და სისხლს უტარებნენ დედა-მიწას. იქ იპერდნენ კალმახს, კიბოს და გველ-თევზას! ღვთიური ბედნიერება! ზოგიერთ ადგილებზედ ბანაობაც შეიძლებოდა და მაღალ ბალახში, რომელიც წყლის პატარა ნაკადულების პირად იზრდებოდა, ხშირად კაცი ტყის ქათამსაც შეხვდებოდა.

თხასავით მსუბუქად მივდიოდი და მივჩერებოდი ორ ჩემს ძაღლს, რომელნიც ჩემ წინ მეძებრობდნენ. სერვალი მარჯვნით, ორასიოდე ნაბიჯის მოშორებით, იონჯის მინდორზედ დაეძებდა. როდესაც სოდრის ტყის მოსამზღვრე ჩიგვებს მოვუხვიე, ქოხის ნანგრევი დავინახე.

უცებ, გამახსენდა როგორიც იყო იგი უკანასკნელად ნახვისას, 1869 წელს, სუფთა, ვაზით შემოსილი, ქათმებიც კარების წინ. განა ამაზედ უფრო სამწუხარო რამე იქნება: სახლი მკვდარი, მისი აყუდებული ჩონჩხი, დანგრეული, ბეჩავი?

მომაგონდა აგრეთვე, რომ ერთ დღეს, როდესაც მეტად დაღლილი ვიყავი, ამ სახლში ერთმა ქალმა ჭიქა ღვინო დამალევინა და სერვალმაც მიამბო მცხოვრებთა თავ-გადასავალი. მამა მოხუცი, ფარულად მონადირე, დარაჯებს მოეკლათ. შვილი, რომელიც წინად მენახა, დიდი, ჩამომხმარი ჭაბუკი იყო, მასაც აგრეთვე ნადირის შეუბრალებელი მტრის სახელი ჰქონდა. მათ ეძახდნენ სოვაჟს.

სახელი იყო ეს, თუ მეტი სახელი?

გავსძახე სერვალს. იგი მოვიდა თავის გრძელის ნაბიჯით.

შევეკითხე:

— რა მოუვიდა აი, ამ ხალხს?

მანაც მიამბო ეს ამბავი.

(გაგრძელება იქნება)

კნეინა ანნა ზურაბის ასულს მაყაშვილისას, თარის დაკვრაზეედ*)

—:—

შენ აღძარი ძველი სევდა,
გულმან იწყო კვალად ძგერა,
დაჰკარ ქალო! დაჰკარ თარსა!
გამაგონე სიმთა ჟღერა.

—:—

ნუ თუ უშენოთ ვარგოდეს,
ეგ ფუტურო თუთის თარი?
ნუ თუ სენი არ განკურნოს,—
სმენელს ვინც კი ავათ არის?

—:—

არ აღუძრას გულსა ღიმი,
არ განფანტოს ოხვრის ზარი,
თუკი ამის მოქმედია,—
წარმავალი რაღათ არის.

თ. რაფ. ერისთავი.

ს. იყალთო, 1886 წელსა.

ᲩᲔᲮᲘᲐ

—

(გაგრძელება)

ახალ-ჩეხები განსაკუთრებით ეროვნული პარტია იყო, მაგრამ ამავე დროს მათ პროგრამაში ვრცელი ადგილი ეჭირა სოციალურ და ეკონომიურ საკითხებს. შემოვიდნენ იგინი რეიხსრატში, როგორც შეურიგებელი ოპპოზიცია მმართველობისა. ყოველ მათ მოქმედებას ისეთი ეროვნული ფერი ედო, ეროვნული მიმართულება ისე მკაფიოდ იხატებოდა ყოველ მათს მოთხოვნილებაში, რომ ამ მძლავრმა ნაკადმა, ახალმა მოძრაობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რეიხსრატში და გამოიწვია იქ თავისი შედეგი. საქმე იმაშია, რომ იმ ხანებში მართებლობითი უმრავლესობა შესდგებოდა არა მარტო გერმანელებისაგან; ამ უმრავლესობაში შედიოდნენ აგრეთვე ჩეხი, პოლონელი და სხვა სლავიანთა შთამოშავლობის არისტოკრატია.

*) ეს ჯერ დაუბეჭდავი ლექსი თ. რ. ერისთავისა ჩვენ გადმოგვცა თავ. ვლადიმერ მაყაშვილმა, რომლის ოჯახშიაც აქამდის ინახებოდა. რედაქცია სიხარულით ჰბეჭდავს ჩვენი პოეტის ლექსს უცვლელად და ამასთანავე მადლობას სწირავს თავად მაყაშვილს.

„ახალ ჩეხების“ გატაცებულმა ბრძოლამ დაზიანა ეს სხვა-და-სხვა ფერი უმრავლესობა. — ეს უმრავლესობა თანდათან დაირღვა. იგი იყო აშენებული კლასობრივ ინტერესებზე, ეხლა კი წინ წამოყენებულ იქმნა ეროვნული ინტერესები და ამ ახალმა მიმართულებამ მტრად გაჰხადა გუშინდელი მეგობრები. ამნაირად „ახალ ჩეხებმა“ არივ-დარიეს პარტიული ურთიერთობა რეიხსრატში და იქამდინაც მივიდნენ, რომ ხშირად მხარს უჭერდენ მართებლობას ოპოზიციის წინააღმდეგ. ამის ასახსნელად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ გერმანელებმაც შეითვისეს ეროვნული იდეები და ყოველ მოთხოვნილებას ჩეხებისას უყურებდნენ, როგორც თავის უპირატესობის დაკარგვას. ამიტომ ავსტრიელმა გერმანელებმა ქადაგებაც დაიწყეს იმისი, რომ უმთავრესი მტერი გერმანელებისა — სლავიანებიაო და იმათ შორის ჩეხია — მოწინავე რაზმიაო. ამ ქადაგებამ შეაერთა გერმანელები მართებლობის წინააღმდეგ ყოველ შემთხვევაში, როცა მართებლობას განზრახვა ჰქონდა, რაიმე შეღავათი მიეცა ჩეხიისათვის. — ამისთანა ურთიერთობის ნიადაგზე ჩეხებისთვის ადვილი გახდა მმართველობასთან საქმის დაჭერა და მასთან მუშაობაც. თუ არა ვსცდები, 1896 წელს გრაფ ბადენის სამინისტროში ორი „ახალ ჩეხი“ იყო მინისტრად. მაშინ პოლიტიკის მიმართულებაც შესამჩნევად გამოიცვალა და ჩეხიის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოიცა ზოგიერთი კანონები. მათ შორის ერთმა კანონმა — გერმანული და ჩეხური ენის სრულ გათანასწორების შესახებ — გამოიწვია დიდი ალიაქოთი გერმანელების რაზმში. გერმანელი დეპუტატები ყოველ სხდომაზე ყვიროდენ, ჰღმუოდენ, ილანძღებოდენ და ასე ხელს უშლიდენ რეიხსრატში ყოველ მუშაობას. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ-ხელ დიდი მუშტი-კრივიც გაიმართა და ზოგ წარჩინებულ პირებს ხელიც მოხვდა.

ამ თავისებურმა ამბოხებამ შეაშინა უმაღლესი მმართველობა, მინისტრ-პრეზიდენტი ბადენი გადადგა და იმასთან ერთად ჩეხებმაც დაჰკარგეს ის გავლენა, რომელიც იმასწინად მოიპოვეს შინაგან პოლიტიკის მიმართულებაზე. მაგრამ „ახალ ჩეხებმაც“ ისწავლეს ხერხი — ობსტრუქცია, ის ხერხი, რომელსაც ხმარობდნენ გერმანელები. ამ ობსტრუქციით ისე ისარგებლეს მათ, ისე შეაფერხეს კანონმდებლობა, რომ თითქმის შეაყენეს უფლებრივი წინმსვლელობა მთელი სახელმწიფოისა. ამნაირად სახელმწიფოებრივი უფლება (უმაღლესი მმართველობა) ჩავარდა ორ-ცეცხლ შუა: თუ უმრავლესობაა შეადგენდა ჩეხების შემწეობით, გერმანელები იწყებდნენ ობსტრუქციას; თუ გერმანელებს დაეყრდნობოდა, მაშინ ჩეხები აფერხებდნენ ყოველ მოძრაობას. როგორ უნდა გამოსულიყო ამ მდგომარეობიდან მმართველობა?

გამოსასვლელი გზა ცნობილია: საყოველთაო არჩევითი უფლება.

ავსტრიაც ამ გზას დაადგა და 1907 წელს უწინდელი „კურიალური“ არჩევნები გაუქმებულ იქმნა. ეხლა ავსტრიაში არჩევითი უფლება საყოველთაოა, როგორც გერმანიაში, ან საფრანგეთში. აშკარა იყო, რომ ამ რეფორმას მოჰყვებოდა ორი შედეგი: ერთი — ცენტრის გაძლიერება, და მეორე — ეროვნულ პარტიის დაქუცმაცება. ორივე ეს შედეგი დიდათ სასარგებლო იყო მართებლობისათვის. აგრეც მოხდა. აქამდე ერთი პარტია იყო — ეროვნული. ეხლა, თუმცა ეროვნული მოთხოვნილება უმთავრესი ბაირაღია თითქმის ყველა პარტიებისა, მაინც ერთი პარტია კი არ არის, ეხლა რამდენიმე პარტიაა; მგონი მეტი არ იქნება ჩამოვთვალო ეს პარტიები და მოვიყვანო მათი რიცხვი, როგორც გამოირკვა უკანასკნელ არჩევნებში:

„ახალ-ჩეხები“	20
სოციალ-ნაციონალისტ	11
კათოლიკე-ნაციონალ	22
პროგრესისტი	2
აგრარიები	27
სოციალ-დემოკრატ	25

აი რა მოახდინა საყოველთაო არჩევნის უფლების შემოღებამ. უწინ ერთი პრტია იყო. ეხლა კი — ექვსია, უწინ სრული ერთ-აზროვნება იყო უმთავრესი საკითხების შესახებ, ეხლა კი სოციალ-დემოკრატები ეროვნულ იდეას თითქმის სულ უარს ჰყოფენ და თვითონ ჩეხებთან კი არ არიან, არამედ შედიან „ავსტრიის სოციალ-დემოკრატულ მუშათა პარტიაში“. დანარჩენი პარტიები კი ეროვნულ უფლებათა შესახებ სრულებით თანახმად მოქმედებენ. თუ რაიმე ეროვნული საკითხი ატყდა რეიხსრატში, ყოველი დეპუტატი აგრარია იგი, თუ კათოლიკე-ნაციონალისტი — სულ ერთია, იგი ივიწყებს ყოველ საპროგრამო მოთხოვნილებას, იგი — მხოლოდ ჩეხია და ჰმოქმედებს, როგორც ეროვნული წარმომადგენელი.

ამნაირად ასრულდა, მაგრამ სრულებით კი ვერა, ავსტრიის უმაღლესი მართებლობის სურვილი. ეროვნული პარტია ჩეხიისა, თუმცა დაირღვა გარეგნულად, მაგრამ ნამდვილად კი თვით იდეა დაურღვეველი აღმოჩნდა: იგი უეცრად აერთებს და ასულდგმულებს ცალ-ცალკე მდგომარე პარტიებს. — მეორე შედეგი — ცენტრის გაძლიერებაც დროებითია. პირველ ხანებში საყოველთაო არჩევნები, ეტვი არ არის, მიიზიდავს და მიიპყრობს ხალხის თვალებს ვენისაკენ, მაგრამ გავა დრო, და მალე ყველა დაინახავს, რომ სწორედ საყოველთაო არჩავნებია ის დიდი ძალა, რომელსაც განვითარებაში და პოლიტიკურ აზროვნებაში შეჰყავს ხალხი. მოხდეს რამდენჯერმე ამისთანა არჩევნები და

მერე ხალხი თვითონ მიხვდება, რაშია საქმე და რა არის მის საბედნიეროდ უფრო საჭირო...

დავასრულოთ ეს წერილი. აი ის გზა, რომელიც გამოიარა ეროვნულმა ბრძოლამ ცენტრში— მართებლობის წინააღმდეგ: პირველად გამოვიდნენ ასპარეზზე „ძველი ჩეხები“ მათი „პასსიური ოპპოზიციით“; მერე — გადავიდნენ „აქტიურ“ ბრძოლაზე, მაგრამ კისერი მოიტეხეს მაშინ, როცა თანხმობა განაცხადეს ჩეხიის ტერიტორიის შემცირებაზე. მერე — „ახალ ჩეხები“ და მათი ობსტრუქცია ამ უკანასკნელ ხანამდე. ყველა დეპუტატები (82), სოციალ-დემოკრატების გარდა (25), კრიჭაში ჩადგომიან სახელმწიფო უფლებას და საშველს არ აძლევენ: უნდათ გამოჰგლიჯონ მას და დაუბრუნონ თავის დაჩაგრულ ერს მისი თავისუფლება.

მაგრამ ამისთვის საჭიროა არა მარტო ბრძოლა ცენტრში; უფრო საჭიროა ადგილობრივი ბრძოლა, მუშაობა თვით ერის წიაღში და მომზადება მისი კულტურული და სამხედრო ძალ-ღონისა.

ამაზედ შემდეგ.

გ. გვაზავა.

გ ვ ე ლ ო!

(ვუძღვნი **მა—ს.**)

თავს მევლებოდი,
მეფიცებოდი,
ყურს ჩამძახოდი:
,,კუბოს კარამდე შენი ვარ, შენი!‘‘

*
* *

მეც დავიჯერე,
შენ ერთს გიმღერე
და ბოლოს... მერე
მომშხამე... ჩაჰკალ ცხოვრების დღენი.

*
* *

ნუ თუ არ კმარა
ცრემლი-ანკარა
რაც დაიღვარა?—
ნუ თუ არ მეყო ტანჯვა ამდენი?

*
* *

გიცანი, გველო,
სულის მტანჯველო,
შხამთა მფრქვეველო,
გიცან, და... მომწყდი, ჩამომეხსენი.

ი. გრიშაშვილი.

მიწა საქონელია?!

დრამა 2 მოქმედებად.

მოქმედება მეორე:

—:—

სცენა წამოადგენს ტყეს, გლეხები, ქალები, ბავშვები აქა იქ ცეცხლთან თბებიან, იქვე ურმები ბარგით, საქონელი წევს, ძაღლები შეჰყურებენ ბავშვებს, ზოგი გლეხკაცი ავადმყოფი წევს გახვეულ საბანში. ერთს კუნძზე ზის ბებერი გლეხი ჩინო ჩაფიქრებული, იქვე მასთან ახლოს ზის ბებერი დედაკაცი და სტირის ჩუმად. შემოდგომაა.

გამოსვლა I

ჩინო. ეს არის ჩვენი ხვედრი საწყალ გლეხკაცისა!.. ქვეყნის გაჩენის დღიდანვე იწყება, უბედურო მუშაკო, შენი ტანჯვა, შეურაცხყოფა, წამება!... ჯანს იგდებინებდი, თავს შიშით მაღლა ვერ ასწევდი, განუწყვეტლივ დღე და ღამ მუშაობდი, მუქთა-ხორებს ასაზრდოებდი!... უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდი შენს ქვეყანას და ეხლა იგი გაგიყიდეს!... აგარეს და არამც თუ სადმე აქ ახლოს დარჩენის ნება მოგცეს, ჭერშიაც კი არ გაუნებენ!.. ჩვენი საზრდო, მიწა, ჩვენი კუთვნილება წაგვართვეს... წინეთ მაინც მიწა უგლეხოდ არ იყიდებოდა, მიწა და მისი მუშა განუყრელნი იყვნენ, ეხლა-კი, ბატონ-უმობა ვითომ მოგვისპეს, თავისუფალი გაგვხადეს ბატონებისაგან, მაგრამ მიწა - კი მას არგუნეს, და ჩვენ ძალა-უნებურად უარესს დღეში ჩაგვაგდეს!.. მაშინ ერთი იყო ბატონი, ისა სწევდა ყველა ანგარიშს... ეხლა კი ათასია!.. ყველა თავისას თხოულობს და საიდგან კი,ამას არ დაეძებენ!.. (ისმის მაგდანის ქვითინი) კმარა დედაკაცო, რასა სტირი, ტრემლით ვერას უშველი ჩვენს უნუგეშო მდგომარეობას!...

მაგდანი. გული არ მიდგება ჩინო!.. ვერ მოთმირევია, მომდგარი ბოდმა მახრჩობს!.. და ტრემლი ვერ შემიკავებია!.. რა ვართ ეხლა ჩვენ უმიწოდ?!. რა გვქვიან?!. ან რადად ვართ ცოცხალი?! ოჭ სიბრაზისაგან ღამის გავიქცე (წამოვარდება) მივვარდე ბატონსა და ჩემის ხელებით ამოგგლიჯო მისი გულ-ღვიძლი და ფეხითა ვთელო!.. ბევრჯელ ჭეიდეს მათ თავის ქვეყანა, თავის გაუმაძღარ მიზნისათვის, ერის მდიდარი ნამუსი, ენა, თავისუფლება, მათ ხშირად, ღვინით დამთვრალთ უარჭვევს, არა ერთხელ, და ჩვენ, ბეჩავი გლეხნი უზომო მსხვერპლითა ხელ-ახლად ვიბრუნებდით!... ეხლა კი ჩვენი მარჩენელი მიწაც — გაგვიყიდეს!... სად შევაფაროთ, რითი ვირჩინოთ თავი!? (შემოდის კოტე და ყურს უგდებს, ტანჯვა ეხატება სახეზე).

ჩინო. ეჰ, ჩემო მაგდან, ვეზოვებთ აქ სამართალსა? არაფერად გვაგდებენ მიწის მუშასა!.. ბირუტუვად მივაჩნიეთ ბატონს. აქაც დგომის ნება არა გვაქვს, უნდა გაუდგეთ გზას, მაგრამ საით?... სად ვეზოვებთ მიწასა?!. უველგან ეს დღე მოგველის?! მიწა ხომ ბატონისაა!...

გამოსვლა II

კოტე. (გლეხებს) ტანჯულო ხალხო, დამიგდეთ ეური! (ყველანი კოტეს უყურებენ) რომ ვეეურებ თქვენს ტანჯვას, გული სიმწარისაგან ათასად მეფლითება!. თვალთ მიბნელდება... გონება მერევა! (ხვეწნით) ჩემო ერო, ჩემო სიცოცხლის მსაზრდოებელო, ჩემო ენავ, სარწმუნოებავ, სიამაყევ... წაიდეთ, რაც კი რამ მაბადია, რაც კი რამ კანონით ჩემია, თქვენთვის მომირთმევია, იგი თქვენ გეკუთვნით!... შემომწირავს ჩემი თავიც თქვენთვისა; ჩემს გონებას, ჯანს, თქვენ შემოგალევთ, ინებეთ, წაიდეთ!.. წადით დასახლდით ჩემს მამულში. თუმც ბატარაა, ბევრი არ გადარჩა ჩემს აბეკუნს ბიძას, მაგრამ მაინც ტებილ, ძმურ მუშობით შეგიძლიანთ იცხოვროთ. მძლავრი კავშირი შაადგინეთ და შეუდექით მიწის ეიდვას, დრო ჯერ ფულისა არის, ეცადეთ, რომ ამ ჩვენს კუთხეში თქვენ იეოთ მფლობელნი მიწისა!.. მეც თავგანწირვით თქვენ გემსახურებით, მიმიდეთ თქვენს წრეში!...

გლეხები. ჩვენო კეთილო ბატონო!..

კოტე. არა, სცდებით ძმებო!... მე თქვენი ბატონი არა ვარ, მე ერის მოსამსახურე ვარ!.. ჩემი მოვალეობა არის თქვენთვის ვიზრუნო, თქვენ გემსახუროთ!... ეველა თავადი მოვალე არის ესრეეე მოიქცეს, როგორც მე. ეგენი ეველა მამა-პაპისაგან იეენენ თქვენი წინამძღოლნი და მზრუნველნი, ახლა-კი მათ მიიეწეეს ეს თავისი ვალი, და დრო არის, რომ მათ მოვაგონოთ!..

ჩინო. გლეხნო!... გაგონდა ვარსკვლავი, გზას გვინათებს ცის კამარაზე?.. ჯერ არ გამქრალა კიდევ ჩვენს თავადებში ბრწყინვალე სული, მას მივჭეეეთ და ბევრიც მოგეეებს!..

გლეხები. შენ კი გენატვალეთ, კოტე!..

ჩინო. (ეხვევა კოტეს) ჩვენო კოტე, ემაწვილობიდგანვე შენ ჩვენში ტრიალებდი, გიეავარდ მუშაკი ხალხი, და ვხედავ რომ არ გამქრალა შენში ეს სიეავრული; უფრო მძლავრი გამოჩნდა!.. ვერ გადაგაგვარა დამონებამ, თავისუფლების დაკარგვამ, ენის წართმევამ!... ვერ გაგიტაცა ირგვლივ შემორტემულმა ბრწყინვალეებმა!.. ვერ დაგავიწყა გაფურჩქნულ ულარდელ ცხოვრებამაც შენი სამშობლო ქვეყანა და ერი!.. ვხედავ, რომ მისი ტანჯვა შენიც არის!.. კურთხეულ იეოს შენი სახელი, ჩვენო მფარველო!.. გაგვიძეხ წინ და ჩვენც მოგეეებით!... გვასწავლე და შეგასრულებთ ჩვენცა! როგორ მოვიქცეთ?!... ვეცდებით რომ დავიბრუნოთ ჩვენი მიწა-წყალი!.. შენ მოგდევთ თავლტრემლიანი გლეხობა, გაგვიძეხ კოტე!..

კოტე. (აღტაცებით) ოჰ, რომ იცოდეთ, რა სიხარულს გვრძნობ თქვენთან!.. რა ბედნიერი ვარ, რომ შეეძელი ცოტათი მაინც შემემსუბუქებინა თქვენი ტანჯვა!.. სიხარულისაგან დამის ავიტაცო!. (ეხვევა ჩინოს) ჩემო სპეტაკო მოხუცო ჩინო, რა ნეტარების წამია ეს ჩემთვისა!.. ახლა ამეხსნა თავლები, ახლა ვიგრძენ, რა ტებილი და სასმური ეოფილა შენი ერი!.. თქვენთანა ვარ ჩემო ძმებო და მთლად თქვენ გეკუთვნით!..

გლეხები. გაუმარჯოს ჩვენს კოტეს!

ერთი გლეხი. (იყურება გზისაკენ). დახედეთ, მგონი ბოქაული მოაჭენებს ჩვენსკენ, თან დარჯებიც ახლავს!... ნახეთ, რამდენი არიან! (ყველანი იყურებიან).

ჩინო. ჩვენს გასარეკად მოდიან! ეს მამული ხომ შენი ბიძისა არის?!

კოტე. არა, ეს მამული მამიჩემისა იეო, მაშ ახლა მე მეკუთვნის!.. მე არ მივსტეემ ნებას, რომ ჩემს მამულიდან გაგრეკონ!...

ჩინო. რა მოგახსენო, ჩვენო კოტე, რაც მამაშენი გარდაიცვალა, ჩვენ დაგვავიწყდა კიდეც, რომელია შენი ბიძისა და რომელია შენი. სულ ბიძას ვაძლევდით, ის ხომ ახლაც შენი აბეკუნია!..

კოტე. ადარ მჭირდება მისი აბეკუნობა, ერთი კვირის წინეთ მე სრული-წლოვანი გავხდი და ახლა მოვსთხოვ ანგარიშს!...

ჩინო. კოტე, ბიძაშენმა მგონი შენი მამულიც დაისაკუთრა და ახლა მაგასაც ჭეიდის!.. მე გავიგე!.. ვიცი, შენ ცარიელზე დაგტოვებს!...

კოტე. მე გამოვგლეჯ მას ხელიდან, აქამდის ეურადღება არ მიმიქცევია, ახლა კი ადარ დავაჩაგვრინებ ჩემს თავსა! ნუ გეშინიანთ, მე გავსტეემ ბასუხს ეველას, ვინც კი თქვენ ხელს შეგახებთ!..

გამოსვლა III

ბოქაული. (შემოდის დარაჯებით) აბა მალე აქედან აიბარგენით!... ნება არა გაქვთ აქ დარჩენისა დღეზე მეტი!.. რატომ არ ჭკითხეთ მებატონეს, გაძლევდათ ნებას აქ დგომისა!?.. რას ძალობთ, თქვე ობრებო? ხომ ზურგის აჭრელება არ მოგდომებიათ?! მალე დაიკარგენით აქედან, თორემ ძალით გაგეერით!...

ჩინო. ბატონო, შენი ჭირიმე!... გვიჩვენეთ გზა, საით წავიდეთ?!.. სადა ფეხს გადადგავ, ეველა ადგილი ბატონისაა, ტეე, მიწა, წეალი, ჭალარა სულ მთლად მათ უკავიათ ხელში!.. არავინ გვაძლევს ნებას სადმე დგომისა, რადგან ფული არა გვაქვს, მაშ სად ჩავძერეთ, გვიჩვენეთ?!..

ბოქაული. შე ბებერო ქოფაკო, რა ჩემი საქმეა!.. მალე გაეთრიეთ აქედან, აარიფეთ თქვენი ბარგი-ბარხანა და გზას გაუდექით!.. (დარაჯები ყვირიან: „მალე, არ გესმით, თქვე მხეცებო!)“

კოტე. მოითმინე, ბატონო ბოქაულო, ვინ ბრძანა, ესენი აქედან გაჭეარეთო!?

ბოქაული. ოჭ, თქვენ აქა ხართ, კნიაზ კოტე!.. (ართმევს ხელს) ვინა და თქვენმა ბიძამ, რადგან ხოდოკები მამულს არ ეიდულობენ, სანამ აქედან აქაურებს არ აჭბარგავენ, და ეს მაზრის უფროსის კანკარგულება უნდა მოვიეანო სისრულეში!...

კოტე. თქვენ ამას ვერ შეასრულებთ?!.

ბოქაული. რატომ?! რა დამიშლის?

კოტე. მიტომ რომ ეგ მამული ჩემია და მე ვა-

ძლევ ამათ ნებას, აქ დასახლდნენ, მოვურიგდი მათ, და გავჭეიდე კიდეც!..

ბოქაული. ეს პირველად მესმის, რაკი თქვენ მამულში აძლევთ მათ ბინას, რა შემიძლიან! წავალ და მაზრის უფროსსაც მოვახსენებ: რომ ეგენი სდგანან თქვენს მამულში!.. და თუ დავა რაზე გაქვთ თქვენს ბიძასთან, დეე სასამართლომ გაარჩიოს, მე კი ეხლა ხელს ვიღებ!.. ნახვამდის (ართმევს ხელს და გადის).

კოტე. (გლეხებს) ესეც ხომ მოვიგერეთ, ეხლა ჩემს ბიძას მე გავუსწორდები!..

ჩინო. ვერას გახდები, კოტე, ბიძაშენთან, ოსტატი კაცი არის, და დიდი კავშირიც აქვს მოსამართლეებთან, მოიგებს საქმეს, თუ სასამართლომდის მივიდა!.. და ხელ-ახლად ისევ ეს დღე გვეწვევა!

კოტე. ნუ გეშინიათ, მე ყველას მოვწყობ, ჯერ წადით, დადექით ჩემს ნაფუზარში, და ბიძაჩემს მე მოვურიგდები!..

ერთი გლეხი. მე ვიცი კოტე, რომ ბიძაშენმა შენი მამულიც აჩვენა ამათ და სიაშიც კი ჩაწერინა, თვითონ მიხმ ჩასწერა, და მაშასადამე შენ მამულსაც ჭეიდის!.

კოტე. არა, მაგას ვერ ჩაიდენს უჩემოდ!.. მე ხელი უნდა მოვაწერინოს, და მე კი არ მოვწერ, მაშინ რას იზამს?!..

ჩინო. (იხედება) კოტე, კოტე, დახედე აქეთკენ მოჯენების ცხენს ბიძაშენი, ბოქაულს ელაპარაკებოდეს!.. ნახე, ნახე რა რიგად გამოუტია, ეტყობა უთხრა ბოქაულმა რომ შენ დაუშალე მას ჩვენი გარეკვა!..

კოტე. ძალიან კარგი, მე გავსტემ პასუხს! დეე მობრძანდეს!..

გამოსვლა IV.

რევაზი. (გადმოხტება ცხენიდან და მივარდება კოტეს) შენ მაშალი ჩემი მამულით სარგებლობს, შე დაწირაკო!.. ჩემი ნებაა და მე მათ არ ვაკენებ აქ?!..

კოტე. არა, ეგ მამული ჩემია, მამაჩემმა მე დამიტოვა და არა შენ!

რევაზი. შე დაწირაკო, რა შეგიძლიან, ჯერ შენ ხმის ამოღებაც ნებაც არა გაქვს, მე ვარ შენი პატრონი და როგორც მინდა, ისრე მოგეპყრობი!.. გაიგე თუ არა?!

კოტე. ადარ მეწერდება შენი პატრონობა, ეხლა მე სრულ-წლოვანი ვარ, და ჩემის მამულით მე ვისარგებლებ, შენ გირჩევნიან ანგარიში მომამზადო!..

რევაზი. შე არამზადავ!.. ისეთ სრულ-წლოვანებას გაჩვენებ და ისეთ ანგარიშს მოგართმევ, რომ შენ სიცოცხლეში არ დაგავიწყდეს. გეუბნები, ნუ მაშალი, მამული კიდეც გავჭეიდე, მოვურიგდი ხოდოკებს, ხვალ ბირობებსაც შევჭერავთ, და მიტომ მინდა, რომ ესენი აქედან ავბარგო, რადგან უამისოდ არ აწერენ ხელს?

კოტე. (გოცებული) რაო?! ბირობაც შეჭეარი ხოდოკებთან?! და უჩემოდ?! ვინ მოგცა ნება?! შე სულმდაბალო?!..

რევაზი. ხედავთ ამ დაწირაკს!.. ხომ არ გინდა სიცოცხლე გაგიქრო!..

კოტე. აბა გაბედე და ნახავ შენს სეირს?!. დღეიდან მე ვუკლი ჩემს მამულს და ისე მოვიხმარ, როგორც სამართალია!.. არ მოგცემ ნებას, რომ იგი გაჭეიდო სხვა ტომის ხალხზე!..

რევაზი. აჭა, მაშ ეგრეა?! შენ მიშალი?!. შენ, შემარცხვენელო ჩვენის გვარისა!.. შენ, რომელმაც უარჰყავი ჩვენი წრე და ამ ბალწებს დაქომაგე, ოჭ შე მოდალატეე!

კოტე. გამეიდვეალო, სცდები!.. მოდალატე შენისთანები არიან!.. მე კი არა ვარ გვარის შემარცხვენელი, აი თქვენა ხართ ერის შემარცხვენელნი!..

რევაზი. მაგ სიტყვებისათვის საქიოს გაგისტუმრებ (იძრობს ხანჯალს და უნდა მოუქნიოს, კოტე სწრაფად სტაცებს ხელს, წაართმევს და ჰკლავს რევაზს)

კოტე. (ჯერ უყურებს მკვდარს, მერე შეხედავს გლეხებს) ოჭ, უბედურო ჩემო თავო, ეს რა ჩავიდინე?!

ჩინო. შენ აქ დამნაშავე არა ხარ, ჩვენ დაგემოწმებით, რომ ეს პირველი დაგეცა, და მისივე ხანჯლით შენ მოერიე, შენ იცავდი შენს თავს.

კოტე. არა, თქვენ არ დაგიჯერებენ, და მე არ გამამართლებენ, ყველა დირსებას, ქონებას ჩამომართმევენ და მერე თქვენ რადა იქთ, სად წახვალთ!.. ჩემს მამულს და ამისას დაეპატრონებიან ჩემი ნათესავნი და ისევ ამ გაწირვებულ მდგომარეობაში ჩავარდებით!.. დმერთო, რად ჩავიდინე!.. ამ საქციელით თქვენც დაგღუპეთ!.. (სტირის).

ქალი. ვაი ჩვენს თავს, ბოქაული მოჯენებს აქეთკენ!.. (ყველანი იყურებიან, კოტე სდგას უძრავი, ფერმიხდილი).

ჩინო. რა ვქნათ მაშ, დავიღუპენით?! (კოტე ხელებს იმტვრევს აღელვებული).

მიხა. (გამოვარდება ჯგუფიდან) ნუ გეშინიათ ძმებო მე დაგიხსნით თქვენა, მომითბინეთ, მოვიდეს ბოქაული, მე გავსტემ პასუხსა!

ყველანი. რა! რა მოიფიქრე, გვითხარი?!

მიხა. ეხლავ გაიგებთ! დაპარკს ნუ შემიშლით ბოქაულთან!.. ჩემი საქციელი თქვენ დაგიბრუნებთ არა თუ კოტეს მამულს, ამ მოკლულისასაც!.. ძმებო, და შენც კოტე, თქვენთვის შეგსწირავ თავსა!.. ოდონდ თქვენ იყავით ბედნიერნი და მე მზად ვარ ჯოჯოხეთის ალშიაც დავიტანჯო. მხოლოდ ჩემი სიტყვები დაამოწმეთ!.. შენ, კოტე, არ გაბედო, ხელი არ შემიშალო, თუ ამათი ბედნიერება გსურს და გიყვარს ეს ხალხი! არ დაივიწყოთ ძმებო თქვენი მიხა!.. აბა ჩუმად იყავით, ბოქაული მოვიდა კიდეც, აგერ ცხენიდან გადმოხტა. (შემოდის ბოქაული და დარაჯები).

გამოსვლა V.

ბოქაული. რა ჩოჩქოლი გქონდათ, რა მოხდა? (დაინახავს მოკლულს რევაზს) ეს რა ჩაგიდენიათ?! რაზედ მოჭკვალით თქვე პირუტყვებო, მთრახი მაგათ!.. (დარაჯები დაერევიან, ქალები და ბავშვები წივიან) მე თქვენ გიჩვენებთ... უკბადებო, წეუულნო!..

მიხა. (შეჰყვირებს) დააყენეთ, ნუ სტეკავთ ხალხსა, მათი ბრალი არ არის (კოტე გაშტერებული უყურებს მიხას, და ერთს ალაგას სდგას უძრავი, ხელგაშვერილი) ამ დაცემულ ადამიანის სიკვდილი. მე შეველაპარაკე და მე მოვუდე ბოლო ამას!.. აი აქ ვარ, ბიჭები თუ ხართ, მე დამედევნეთ (მიბრუნდება და გაიქცევა).

კოტე. (გაოცებით და სიმწარით იტაცებს ხელს თავში) უჰ, რა განწირული მსხვერპლია, ჩემის უგუნურებისაგან!..

ბოქაული. არიქა ბიჭებო, მალე, არ გაგექცეთ!.. მოჰკალით!.. აბა გიჩო, ესროლე! კარგად დაუმიზნე (დარაჯები ასტეხავენ სროლას, კოტე შიშით უყურებს გაქცეულს მიხას, ხალხი ჩუმად გაიძახის! „ღმერთო უშველე“) აჰა, ეოჩად გიჩო, ეგ შენი ტყვია მოხვდა!.. წაიქცა!.. მიდით მალე, შეჰკარით, თუ კიდევ ცოცხალია!.. (დარაჯები გარბიან).

კოტე. (იქით) ოჰ, საცოდავო!.. რომ იცოდე მიხა, რა ტანჯვა მომაყენე!.. (უზომოდ იტანჯება).

ჩინო. დაუბრუნე ღმერთო ამ მსხვერპლს სიცოცხლე!.. ჩვენთვის შესწირა მან თავი!..

ბოქაული. აქ მოათრიეთ ეგ ბირუტყვი (შემოჰყავთ დაჭრილი, გასისხლიანებული და ნაცემი მიხა, ძლივს-ღა სუნთქავს).

კოტე. (მივარდება დარაჯებს აღელვებული, მოეხვევა მიხას და დარაჯებს ხელით მოიშორებს) მიხა, რად ჩაიდინე შენ ესა, მე ხომ უარესად დამტანჯე?!..

მიხა. არა კოტე, ეს საჭირო იყო ამათ საბედნიეროდ, შენთვის რომ ეტაცნათ ხელი, ეგ ხალხიც დაიდუშებოდა (ნელ-ნელა მიჰყავს კოტეს, დასვამს) შენ უნდა იცოცხლო ამათთვის, მე კი... არაფერია, ჩემი სიკვდილი!.. არას დაუშლის, ამით მე ბედნიერება მიგანიჭე ჩემს ძმებს, მე ვგრძნობ ამას და ტკბილად ვჰკვდები!.. არ გაბედო, არ უარჰყო ჩემი ნათქვამი, დაამოწმეთ... ვკვდები!.. იცხოვრეთ ბედნიერად ძმებო... არ დამივიწყოთ!.. რა ბედნიერი ვარ, რომ თქვენთვის ვჰკვდები! (წაიქცევა და კვდება).

კოტე. (სიმწარით) ოჰ, წამებულო გმირო, რა დიდებული მსხვერპლია?!..

ჩინო. (იჩოქებს) შეიწირაოს ღმერთმა ეგ შენი მსხვერპლი (გლეხები ქუდს იხდიან, კოტე სდგას წამებულსავით და უზომო ტანჯვა ეხატება სახეზე).

ბოქაული. ოჰ, შე ძაღლო, ტყვიას უნდა გაქცოდი!.. (ხალხს) რად მოჰკლა ამ ბირუტყვმა, რა მოუხდათ?

ჩინო. (დგება) მამულის თაობაზე შეჰყვენენ დაპარაკს, და ამ დროს მოჰკლა მიხამ კნიაზი მისივე ხანჯლით!..

გლეხები. დიახ ბატონო, ეგრე გახლდათ!

ბოქაული. თქვე ბრიყვებო, რატომ დროზე არ მიეშველეთ!.. თქვენი ბრალიც არის!..

ჩინო. აბა ბატონო, რას მოვასწრებდით, ჩვენ მოშორებით ვიდექით, თვალის დახამხამებაზე მოხდა ყველაფერი!

ბოქაული. (კოტეს) კნიაზო კოტე, მართალია სე სწრაფად მოხდა, რომ არ შეძლოთ ამათ შველა?!

კოტე. (ხმა-წასული, არ მიბრუნდება) დიახ... ერთი წუთი... იყო!.. მეც ვერ... მოვასწარი!.. (იქით) ოჰ ღმერთო, რა უზომო ტანჯვაა!..

ბოქაული. მაშ ოქმს ეგრე შევადგენ, რომ მიხამ მოჰკლა თქვენი ბიძა დაპარაკის დროს მამულის თაობაზე!..

კოტე. (მწარედ) ეგრე შეადგინეთ! (ხელებს იმტვრევს).

ბოქაული. დამშვიდდით კნიაზ კოტე, არას უშველით, მით დამშვიდეთ გული, რომ მოკლულმაც მიიღო სამაგიერო ჯიდღო!

კოტე. ოჰ!...

ბოქაული. (ხალხს) გასწით, დაიკარგენით აქედან ამ საათში, აიბარგენით მალე, თორემ სულს ამოგარომევთ!..

კოტე. (გლეხებს) წადით, დასახლდით ჩემს მამულში, მე გაძლევთ ნებას!..

ბოქაული. როგორ!? ამ ეაჩადებს თქვენ კიდევ აძლევთ ბინას?!

კოტე. მე მინდა ეს მოკლულის სულისთვის!.. წაიყვა ჩინო!.. (მიბრუნდება მიხასკენ, დაუჩოქებს) ოჰ მიხა, მიხა!.. (სტირის)

ფ ა რ დ ა.

გიორგი ფოცხოველი.

კეისრის ცოლის ძეგლი

—:—

თიხად გადაქცა კეისარი სახელ-განთქმული.

ჰამლეტი.

დიდი აუზი, მოაჯირი, ვიწრო კიბენი
და ნიმფანიცა ტაგანაით იქ წყალსა ღვრიან,
მარმარილოზედ გაბნეულან სილამაზენი
და ვით დარაჯნი ძეგლისა წინ სვეტნი აყრილან.
მიმქრალან ჩუმნი, დარდიანი შემოგარენი,
თუმც არ დაღლილან უდარდელნი დენანი წყლისა
და მათს ჩუხჩუხზედ გზა-ბილიკნი, მწუხრნი არენი
ცისკრის ზღუდეზედ მისცემიან ნირვანის ძილსა!
ძილის ბურუსი მათსა არეს შემოეხვია—
ლამაზსა ქვებსა, ლურჯსა სვეტებს ჯანღნი ჰფარავენ,
მხოლოდ ერთ ძეგლსა თვალს ნაღველი ჩაუხვევია
და მის ნახვანი ნისლიან ღღეს გულსა ზარავენ!

მოხუცი ვინმე, უდარდელი მებაღე-მწირი,
რუთა და ვარდთა მეგობარი მოლაზღანდარე,
ოდესღაც ისიც ჯარის კაცი—ომებში გმირი,
აწ მაჩანჩალა, ვაჟკაცობის ხარისხით მდარე—
მხარზედ გაიდებს თავის ცოცხსა, მტკიცე ნაბიჯით
ძეგლს წინ ჩაუვლის—ეს არს მისი დილის სალამი!
და მერე ისევ დაღვრემილი, ჩვეულ სიდინჯით
იმ ძეგლს შესცქერის; გულს აწვება ბოღმა, ვარამი,
თავისა საქმეს ის მოხუცი მუდამ ასრულებს,
იმ ადგილსა ჰგვის... ამ დროს ხესაც სცვივა ფოთოლი
და აგონდება, ოდეს ცრემლი თვალსა უსველებს,
კეისრის ცოლი, მშვენიერი კეისრის ცოლი!
თავ-ჩაქინდრული, შუბლ-შეკრული და
ახალგაზდა,
ლამაზს თვალებში ხვაშიადსა გამოჩენილი,
ნაღვლით შესცქერის—სიცოცხლის დროს მუდამ
მას ახლდა
ვინც დედოფალი ქვისგან არის გამოკვეთილი!
პირის ფარეში ახალგაზრდა დღე-მუდამ დილით
თავის ქალბატონს, დიდს ქალბატონს ასე იგონებს;
მის სათნოებას დამშვენებულს ოქროს მანდილით
და მხოლოდ იმას მახსოვრობას თვისას უმონებს!
მის წინ აყრილა ტურფა ჭალა, მწვანილოვანი,
ისიც აქ არის სათნოება, მშვენების ტოლი,
ნიადაგ ბურუსს გახვეული კლდეც სულოვანი—
კეისრის ცოლი, მშვენიერი კეისრის ცოლი!
სასახლის ქალი, მშვენიერი, გასათხოვარი
დილა ადრიან ძეგლისაკენ ეტლს მიაჭენებს
და გული მისი, მუდამ ძგერას დაუთხოვარი
წამსვე ყუჩდება რა დედოფალს თვისს ინახულებს,
ვერ წამოისხავს დედოფალი უკვე პორფირსა,
ქალწულთა კრებას მისი ბაგე ვერ გაუღიმებს
და მის ტანთსაცმელს ლურჯის ქვისგან ჩამოქსოვილსა
საღამოს ნელი სიო ვეღარ შეაბიბინებს.
ასე ღამდება იმისი დღე—ღამე თენდება,
მისსა ნაზს სახეს ზამთარშია გაჰყინავს თოვლი,
ომის გულს ჩამქრალს გულის სითბო არ დაენთება
კეისრის ცოლი, მშვენიერი კეისრის ცოლი!
ერთხელ ისიცა მისი მონა, მისი ფარეში
აწ კი მოხუცი სახლთ ხუცესი დარბაისელი,
რომელსაც ეხლაც აგონდება გულის თარეში —
როს გაიბმოდა სასახლეში თილისმის ქსელი,
გულ-ხელ-დაკრეფით გვერდს ჩაუვლის მარმარილოსა,
როს თვალი მისი მოღრუბლული აღარ ბრწყინვალებს
და გაუდგება ვიწრო ბილიკს მწვანე ლილოსა,
უკან კი ისევ შადრევანი ჩაიჩხრიალებს.
ყველანი წავლენ... მზეც დადგება შუქ-მოელვარე!
მხოლოდ დარჩება ლურჯის-ფერი თვალი გამყოლი —
არ დაიღლება შადრევანი მოლაზღანდარე,
კეისრის ცოლი, მშვენიერი კეისრის ცოლი!

შ. ამირეჯიბი.

ნუცალ ხანი

ისტორიული მოთხრობა.

I

—:—

გავარდა ხმა ავარიაში*), რომ ნუცალ ხანი იბარებს თავის მორჩილ მეომრებს სალაშქროდაო. ამ ხმაზე შეირყა მთელი ავარია და ყოველ მის კუთხიდან მიეშურნენ შეიარაღებული მეომრები ხუნზანისაკენ, რომ ნუცალის წინამძღოლობით გალაშქრათ და დაერბიათ რომელიმე მდიდარი მოსაზღვრე მხარე.

აჰა, გათენდა პარასკევის დილა. ამოვიდა მარიამობის მზე და თავის ბრწყინვალე სხივებით გაანათა ხუნზანი და მისი მიდამო და გადახრუკლული ქედები. თითქო შეეშინდათ ამ ქვეყნის მნათობისაო, ღრუბლები გაიფანტ-გამოიფანტნენ და მათი შეკუმშული, ამღვრეული ნაწყვეტები მოედვნენ აქა-იქა დაღესტნის მწვერვალებს... მხოლოდ შორს, სამხრეთისაკენ მოსჩანდა დიადი ავარიის ქედი, რომელიც გველივით მიიკლაკნება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მისი მწვერვალები, ზოგი ნისლით დაბურულიყო და ზოგიც სინათლით გაბრწყინებული, თოვლით მოსილი მედიდურად აშვერილიყო ზეცისაკენ. მხიარულად გამოიყურებოდნენ მისი მწვანე კალთები თავის ჩაღრმავებულ ღრე-ხევებით, საიდანაც გამოსჩანდნენ წვერებიდან თეთრ ზოლებად ჩამოწოლილნი ზვავები. გულ-ჩათხრობილი, მაგრამ დიადი შავი კლდეები—ეს თავშესაფარი ჯიხვ-არჩვისა, მრისხანედ, თითქო მუქარით ჩაჰყურებდნენ ძირს თვალჩაუწვდენელ ბნელ უფსკრულს, სადაც ჰქუხდა და გრგვინავდა შევიწროებული ავარიის ყოისუ. საზარლად ღრიალებდა ეს მდინარე, სცემდა თავის ძალოვან აღქაფებულ ტალღებს კიდეებს, თითქო უნდა გაეკვეთა მშვიდი, თავისუფალი გზა, მაგრამ კიდეები წარბსაც არ იხრიდნენ, თითქო დაცინვით დაჰყურებდნენ ამაო მის ბრძოლას...

აყარი ხალხი ფუსფუსებდა ხუნზახის მოედანზე, ხანის სასახლის წინ. თოვლივით გათეთრებული, ყავარჯენზე დაბჯენილნი მოხუცნი, რომელთა სიცოცხლის დღენი უკვე დათვლილი იყო, მორცხვი ქალ-რძალნი, დედები თავის უსუსურ ბავშვებით, ცქრიალა, სიცოცხლით აღსავსე ბავშვები, კოჭლი, ყრუ, თუ ბრმა—ყველას აქ მოეყარა თავი.

---

*) ამ ისტორიულ მოთხრობის შინაარსი ამოღებულია თუშების სიმღერებიდან და გარდმოცემებიდან. მაამქმჯნი პირნი და მათი სახელებიც ავტორის ოცნებას არ ეკუთვნიან. ეს პირნი იხსენებიან მამა-პაპიდან საშვილიშვილოდ გადმოსულ სიმღერებში და გარდმოცემებში. მხოლოდ ავტორს ეკუთვნის მოთხრობის შინაარსის ერთ ძაფზე აკინძვა და შესისხლხორციანება.

სასახლის კარების წინ იდგა ლაშქარი, რომლის მხედრობას შეადგენდა დაღესტანში ვაჟკაცობით განთქმული ნარჩევი ავარიის შვილები, იარაღში ჩაწკეპილნი, დიდრონ გძელ ხუჭუჭ ბალნის ფაფახებით კოხტად ისხდნენ ავარიელნი თავიანთ ბედაურებზე, რომელნიც ვერ ისვენებდნენ ერთ ალაგას; ხან წინ იწეოდნენ, ხან უკან, ხან ყალყზე დგებოდნენ და კიდევ ფხრუტუნით ტორებსა სცემდნენ. ლაღად ფრიალებდა ნიავზე წინა რაზმის თავზედ სამხედრო დროშა, რომლის სპილენძის ბურთი ოქროსფრად ბრჭყვინავდა მზის სხივებზე. ხალხის ყაყანი, ცხენების ჭიხვინ-ხვიხვინი, ტორების ცემა, იარაღის ჟღერა აყრუებდა იმ არე-მარეს...

სასახლის აივანზე გამოჩნდა ნუცალ ხანი.

— ნუცალ ხანს გაუმარჯოს... გაუმარჯოს დიდებულ ხანს!..

იგრიალა წინა მხედრობამ და მას მოჰყვა მთელი ხალხიც.

მთელი მოედანი მოძრაობაში მოვიდა. კოჭლი ყავარჯენით მიხუციც-კი მოუთბენლად წინ იწეოდა, რომ ერთი თვალი მაინც მოეკრა ხანის—დიდი ნუცალისათვის.

ნუცალი იდგა სასახლის აივანზე და გადაჰყურებდა ჯარს. მის ახოვან, მაღალ ტანს ჰფარავდა ოქროს ბუზმენტით მოქარგული მწვანე ჩოხა, რომლის ქვეშიდან გამოსჩანდა ალისფერი აბრეშუმის ახალუხი. წელს ერტყა ხონთქრისაგან ნაბოძი ხმალი, რომლის თვალ-მარგალიტი ყოველ ხანის მოძრაობაში სხვა-და-სხვაფრად ელავდა მზის სხივებზე. აქა-იქა ჭაღარა-შერეული, ხშირი და გძელი წვერ-ულვაში, რომელიც ჰფარავდა მის განიერ გულის მკერდსა, მკვახე სახე, ნელად მოკაუჭებული, განიერ-ნესტოებიანი ცხვირი უმტკიცებდნენ ფიზიკურ ძალას და მის დიდრონ შავ თვალებში გამოიხატებოდა სულის სიძლიერე, სიმტკიცე, ჭკუა და გამოცდილება.

ოცდა ხუთი წელიწადი უკვე შეუსრულდა ნუცალს, რაც ავიდა მამა-პაპის ტახტზე, გახდა ავარიის მბრძანებელი და ამ ხნის განმავლობაში ისეთი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ქვეშევრდომებისა, რომ არა სხვა მის წინაპარ ხანებს არ ჰქონიათ. ნუცალი იყო გულკეთილი და მშვიდობიანობის მოყვარე. უკანასკნელ ღირსებით დიდათ განირჩეოდა იგი სხვა ხანებში, რომელთაც თავიანთ მოვალეობად მარტო ლაშქრობა, ქვეყნების დაწვა, დაბუგვა და ხალხის აწიოკება მიაჩნდათ. სხვა ხანები სასტიკობით იმორჩილებდნენ ხალხს და ნუცალი-კი თავის მაღალის ჭკუითა და სათნოებით.

როდესაც ნუცალს მამა მოუკვდა და პატარა დარჩა ხალხის პატრონად, ჩვეულებისამებრ ავარიის სხვა და სხვა თემები განუდგნენ, მაგრამ ხანი არ აირია. თუმცა საიმისოდ ჯერ გამოუცდელი იყო, მაგრამ მაინც მხნედ შეუდგა მათ ალაგმვას. გამოიტანა მამის დროშა, შეკრიბა ერთგულნი და მოულოდნელად თავს დაატყდა ერთ სხვებზე უფრო თავხედ თემს—ისეთი თავზარი დასცა მათ, რომ დაუყონებლივ იარაღი ფეხ-ქვეშ დაულაგეს და მით სრული მორჩილება გამოუცხადეს. ასევე მოექცა ხანი დანარჩენ განდგომილ თემებს, მაგრამ არსად და არავისთან უსამართლო სასტიკობით არ მოქცეულა. უბრალოდ ერთი წვეთი სისხლიც არ დაუნთხევია. ხანის ამნაირ გულკეთილობამ იმოქმედა ქვეშევრდომებზე და ისეთი სიყვარულით აღიჭურვნენ მისდამი, რომ საკმარისი იყო ნუცალის ერთი სიტყვა, რომ ცეცხლში და წყალში გადაცვივნილიყვნენ ავარიელები. დაღესტნის სხვა ხანებმა კარგად იცოდნენ, რა დიდი გავლენა ჰქონდა ნუცალს აქა-იქა დაღესტნის ხევ-ხუვებში დაფანტულ თავისუფალ თემებზე და ამისათვის დიდის კრძალვით და შიშით ეპყრობოდნენ მას. არ ბედავდნენ უმიზეზოდ ერთი ერთმანეთზე გალაშქრებას ქვეყნების წვა-ბუგვას, ხალხის ხოცვას და მტარვალობას. ერთის სიტყვით ნუცალის ხანობა იმ სისხლის დროს შედარებით ბედნიერება იყო არამც თუ ავარიისათვის, არამედ მთელი დაღესტნისათვის. მას აქებდნენ და ადიდებდნენ სიცოცხლეშივე ლეკები თავიანთ სიმღერებში სხვა და სხვა დაღესტნის კუთხეებში.

ნუცალს გვერდით ახლდა ერთი ვაჟკაცი, რომელიც მაყურებლის ყურადღებას იქცევდა. მაღალი, ლერწამივით სწორე-მოსული, წელში ვიწროგმრეებში ფიცარივით გაშლილი, მაღალ გულ-მკერდიანი, მოგრძო და ხმელი პირისახე, ღრმად ჩაცვივნული ცოცხალი პატარა თვალები, არწივისებური, ნელად მოკაუჭებული მოდიდო ცხვირი, ამასთან გძელი, ინით შეღებილი წვეტიანი წვერი—ეს ყველა ამტკიცებდა, რომ ის იყო ნამდვილი შვილი ავარიისა. მას ერქვა მურთაზი.

ნუცალი და მურთაზი იყვნენ ძუძუს ძმანი. ორივენი სწოვდნენ მურთაზის დედის ძუძუს. პატარაობიდგანვე ერთად შეიზარდნენ და ისე შეითვისა და შეიყვარა ნუცალმა მურთაზი, რომ არასოდეს არ იშორებდა მას გვერდიდან. ჭირში, თუ ლხინში მასთან იყო, მხოლოდ მას ენდობოდა, მას უზიარებდა თავის გულის პასუხს, როგორც ღვიძლ ძმას. მურთაზიც ღირსეულად აფასებდა ხანის მისდამი სიყვარულს და პატივისცემას. იგი ემსახურებოდა ისე, როგორც-კი შეეძლო, არ ზოგავდა მისთვის ღვაწლსა და შრომას და, თუ-კი საქმე მოითხოვდა, წუთსაც არ შეფერხდებოდა, რომ თავი გაეწირა მისთვის. მურთაზი იყო მხედართ-მთავარი, სახელოვანი მეომარი და მხედრობაში მთელ ავარიაში მას ვერავინ ვერ შეედრებოდა.

ნუცალი იდგა სასახლის აივანზე და, როგორც ვსთქვით, გადაჰყურებდა მოედანზე მოგროვილ თავის ჯარს. სალამის შემდეგ ხალხი დაწყნარ-

და. სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა სმენად გარდაქცეული აივნისაკენ გაიყურებოდა:

— მაარულელებო, (ავარიელებო) დაიწყო ნუცალმა, — მოგეხსენებათ, რომ მე საზოგადოდ მეჯავრება ომი, უბრალოდ სისხლის ღვრა და ხალხის ხოცვა-ჟლეტა... მე ძვირად ვაფასებ ადამიანის სისხლს, მის სიცოცხლეს: უბრალოდ, უსარგებლოდ, ჩემ პირად სახელისათვის და დიდებისათვის არ დავანთხევ ხალხის სისხლს, არ მოვსვრი მით მთაბარს, არ ვატირებ დედას, ცოლს და შვილს. მაგრამ დღეს იძულებული ვარ ამოვიღო ქარქაშიდან ხმალი ჩვენი წინაპრების საფლავების, ჩვენი რჯულის დასაცველად... ჩვენი რჯული იჩაგრება...

ხანის ბოლო სიტყვებზე ხალხი აღელვდა, მოძრაობაში მოვიდა და მითქმა-მოთქმა გაისმა. მურთაზმა ხელით ანიშნა ხალხს, რომ დამშვიდებულიყო. ხმაურობა შეწყდა, ხალხი ისევ სმენად გარდაიქცა.

— დიდოეთიდან საპატიო მოლლები მომივიდნენ, განაგრძო მცირე სიჩუმის შემდეგ ნუცალმა, — და გურჯებისაგან დიდოეთის დიდ შეწუხებას ამბობენ. მოდიან გურჯების მღვდლები დიდოეთში და ქრისტიანობას ქადაგებენ ხალხშიო... თურმე მაჰმადს ცრუ მატყუარად სახავენ და თავიანთ ქრისტეს-კი ნამდვილ ძე-ღვთისად. დიდოებს არ მიუღიათ გურჯების მღვდლები, განრისხულებს დაუჭერიათ, უცემიათ და უბეგვნიათ, შემდეგ დაუხოცნიათ, როგორც მღვდლები, ისე მათი მხლებელი გურჯები... მაგრამ ძვირად-კი დასჯდომიათ დიდოებს გურჯების მღვდლები, ნაღვლიანად წარმოსთქვა ხანმა, — კახეთის მეფე ლევანი ამოსულა უთვალავ ჯარით დიდოეთში და რამდენიმე სოფელი გაუნადგურებია და ის სოფელი-კი, სადაც მღვდლები დახოცეს, მიწასთან გაუსწორებია; ქვა ქვაზედ აღარ დაუნარჩუნებია და განრისხებულ მეფეს მთხრობლად ერთი ცოცხალიც არ დაუნარჩუნებია... და აი ეხლა, იმ დარბეულ, ტიტველ-შიშველ, მწყურვალ და უსახლკარო შეწუხებულ დიდოებს—ჩვენ თანამოძმეებს და თანეშემწეებს გამოუგზავნიათ ჩემთან თავიანთი საპატიო მოლლები, რათა ვუშველო და დავიხსნა მტრის მახვილისაგან.

— გურჯისტანში!.. გურჯისტანში, იგრიალა მთელმა ხალხმა, — ვუჩვენოთ გურჯებს, როგორც უნდა ხოცვა და ჟლეტა—რაღას ველით—გაგვიძეხ, მურთაზ, მიაძახა მხედართ-მთავარს ჯარმა,— გაშალე სახელოვანი დროშა და ჩაგვიყვანე გურჯისტანში!..

მურთაზმა ისევ ანიშნა ხალხს, რომ დაწყნარებულიყო.

— მოითბინეთ, მაარულელებო, განაგრძო ისევ ნუცალმა, — გურჯისტანს გალაშქრება ჯერ ადრეა, და მაინცა და მაინც გურჯისტანის დარბევა ისე ადვილი ნუ გგონიათ: დიდი მხარეა და ამასთან ომებში გამოცდილ მეფე ლევანის დამარცხება ისე ადვილი არ არის. რამდენიმე სოფლის დარბევით და ხალხის დაწიოკებით არა გამოვარა. მხოლოდ ჯერ-ჯერობით ლევანს ძალა უნდა შევუკვეცოთ. ამისათვის ჯერ საჭიროა ყოველ მხრიდან გზები გავხსნათ გურჯისტანისაკენ სალაშქროდ. შემდეგ ყოველ მხრიდან თავდასხმით და თარეშობით ისე შევაწუხებთ კახეთს, რომ მეფე თავის ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის იძულებული გახდება, არამც თუ დიდოეთს და იქ თავის რჯულის გავრცელებას თავი დაანებოს, არამედ ხარჯიც გვაძლიოს. ჩვენ წინ გვეღობება თუშეთი, რომელიც დარაჯად უდგია გურჯისტანს და ერთი მისი კარები მას უჭირავს. მაშ ესე, აღფრთოვანებით დაბოლოვა ნუცალ ხანმა,— უნდა გავილაშქროთ თუშეთზე და დავამხოთ ეს კუთხე და მით შევლეწოთ კახეთის კარები.

ხანის ბოლო სიტყვებზე ხალხიდან გამოვიდა ფრიად მოხუცებული და წარსდგა ხანის წინ. სიბერისაგან წელში მთლად მოხრილიყო. შეყვითლებული გრძელი მისი ჭაღარა წვერი ხავსივით გულის მკერდს მოჰფენოდა. სახე დაჭღმეჭოდა, თვალებზე ნაოჭების რგოლები მოჰვლებოდა და დაჯაგრებული გრძელი წარბის ბალანი ფარავდა ღრმად ჩაცვივნულ, უკვე სიცოცხლის ცეცხლ მიმქრალ მის თვალებს; ორივე ხელით ყავარჯენს ებჯინა, მაგრამ მაინც მთლად კანკალებდა. ეტყობოდა რომ, ერთი ფეხით უკვე სამარეში იდგა და დღეს თუ ხვალ უნდა გამწყდარიყო მისი სიცოცხლის ძაფი...

— ჩვენო, ნუგეშო, ჩვენო დიდო ბატონო, ნუცალ-ხანო, დაიწყო რამდენიმე სიჩუმის შემდეგ მოხუცმა,—თუშეთზე გალაშქრება და მისი ალაგმვა დიაღ, რომ კარგი იქნებოდა. ჩვენ მათი ჯავრი გვჭირს... თუ ჩვენ ჩვენი ძალა არ ვაჩვენეთ, უფრო გაკადნიერდებიან და აქაც აღარ მოგვასვენებენ... არავის არ ეპოებიან, არც არავისი ეშინიათ... თარეშობენ, როგორც მშიერი მგლები და მოსაზღვრე ლეკებს და დიდოებს მოსვენებას არ აძლევენ... მოულოდნელად, გრიგალი ქარივით დაეცემიან რომელიმე სოფელს, ჰხოცვენ, ჰჟლეტენ მცხოვრებლებს, სოფლებს ცეცხლს უკიდებენ და მთაში, რაც საქონელი დახვდებათ, თუშეთში გადაუდით. მოსაზღვრე სოფელს არა სჯერდებიან და მთა-მთა ჭარ-ბელაქანშიაც-კი ჩადიან სადავლოდ*)... —ჭარ-ბელაქანამდინ თუშებს რა უნდა, მოხუცო, განცვიფრებით შენიშნა ხანმა,—სად თუშეთი და სად ჭარ-ბელაქანი?

— როგორ არა, უპასუხა მოხუცმა ლეკმა, —მე თვითონ მინახავს და მქონია მათთან საქმე.

— ოცდა ხუთი წლის ჭაბუკი ვიქნებოდი, უამბო,—როდესაც ბელად მოკუთის თარეშობაში

*) რომ თუშები სადავლოდ ჭარ-ბელაქანშიაც ჩადიოდნენ, მოგვითხრობს თუშური ლექსი... „ჭარის თავს დაჭერეს მილარა, თუშთა დაიდგეს მთანიო; მთებს ჩამოითარეშებენ, წინ დამდგომ ვინღა არიო“...

მივიღე მონაწილეობა. მოკუთი განთქმული ბელადი იყო იმ დროს ანწუხში. მის წინამძღოლობით ბევრჯელ დაგვირბევია ღამის წყვდიადში გურჯების სოფლები, ბევრი დავლა წამოგვიღია; ბევრი ლამაზი ქალ-რძალი წამოგვისავ ტყვედ... ნეტავ იმ დროს, ნაღვლიანად ამოიოხრა აქ მოხუცმა და თავი ჩაჰკიდა; დუმილს მიეცა და კარგა ხანს იდგა ჩაფიქრებული... ზამთარი ილეოდა, განაგრძო შემდეგ ლეკმა, რა აიწია თავი და მიმოავლო თვალი მთელ, არე-მარეს,—თოვლი ხევ-ხევებში ჩამოწვა და გაანთავისუფლა მთის კალთები. გავარდა ხმა ანწუხში, რომ თუშებმა დაარბიეს ჭარის მიდამოები და უთვალავ ნადავლით—ცხვარ-ძროხით მთა-მთა სათუშო ბილიკით,*) თუშეთისაკენ მიდიანო. საჩქაროდ შევიყარენით ასიოდე კაცი და მოკუთის წინამძღოლობით გზა მოვუჭერით თუშებს ანწუხის ღელეში. არ შეგვეპოვნენ თუშები, არ გაწირეს ნადავლი. დავერიეთ ერთმანეთს, ატყდა ხმლის და ხანჯლის ტრიალი. მესამედი ველარ გადავრჩით. მოკუთი მოგვიკლეს. მეც რამდენიმე ალაგას დაჭრილი, გონება - მიხდილი გადავარდი ერთ ღრეში. როცა გონს მოვედი, ავიხედე, ღამის წყვდიადს დაეფარა არე-მარე და სრული სიჩუმე სუფევდა ჩემს მიდამო. აღარც თუშები იყვნენ და აღარც ცხვარი და ძროხა. შემდეგ გავიგე, რომ უვნებლივ გადასულიყვნენ თუშები ნადავლით თავიანთ ქვეყანაში...

მოხუცი ლეკი გაჩუმდა.

— კარგი, კარგი, მოხუცო, უთხრა ხანმა,— შევანანებთ თუშებს თავხედობას.

— რამდენი მეომარი გავა სალაშქროდ? ჰკითხა შემდეგ მურთაზს ხანმა.

— ორი ათასი კაცი ანდაქიდან უნდა მოვიდეს დღეს, მოახსენა მხედართ-მთავარმა, იმათთან ერთად ოცი ათასი მეომარი შესდგება.

— დიდოების მოლლების პირით ბრძანება გავგზავნე, სთქვა ნუცალმა,—რომ დიდოებიც შეიარაღდნენ სალაშქროდ. ხუშეთში უნდა მოიყარონ თავი. ასე რომ დიდოებთან ერთად ოცდა ათი ათასი კაცი შევალთ თუშეთში. თუშეთისათვის საკმარისიც არის ეს რიცხვი. ხვალ დილა-ადრიანად გავალთ და ისე სისწრაფით უნდა ვიაროთ, რომ მეოთხე დღეს მაინც ხუშუთში**) გავიდეთ.

— გაიყვანე ლაშქარი და ხუნზახს გარე მინდორში დააბანაკე, თავდარიგი მიეცი და შენ თვითონ საღამოზე მოდი ისევ ჩემთან... მისცა განკარგულება ნუცალმა და შევიდა სასახლეში.

*) თუშეთიდან ჭარ-ბელაქნამდინ მთა-მთა ბილიკი ჩადის. ამ ბილიკს „სათუშო ბილიკს“ უწოდებენ.

**) ხუშეთი თუშეთის მოსაზღვრე დიდოების სოფელია.

მურთაზმა გაიყვანა ლაშქარი ხუნზახიდან და დაბანაკა ერთ ფართო გაშლილ ვაკეზე. მზე კიდეც იწურებოდა, როდესაც მეომრების ყურს მოესმა სამხედრო სიმღერის ხმა. ხმა უფრო და უფრო უახლოვდებოდათ. რას ვერ იცნობდნენ ავარიელები იმ ხმას! ის ხმა იყო მათი თანამოძმეების—ანდაქელების ხმა. არ გაიარა ბევრმა ხანმა. გამოჩნდნენ თვით ანდაქელებიც მდიდარ იარაღში ჩამსხდარნი, დაოფლებულ ბედაურებზე, რომლებსაც ძლივს უჭერდნენ გაფიცხებულ თავებს მათი პატრონები. წინ მიუძღოდათ თეთრ ცხენზე ამაყად, ჭაღარა-შერეული ბევრ ომებში გაწრთვნილი და გამოჭეკილი ბელადი აბდულა. ლაღად დაფრიალებდა წინა რაზმის თავზე სამხედრო დროშა. აღტაცებით მოეგებნენ ავარიელები ანდაქელებს, რომლებმაც, მიუახლოვდნენ ბანაკს თუ არა, მჭეხარედ მიართვეს სალამი მხედართ-მთავარ მურთაზს. მყისვე ჩამოხტნენ ცხენებიდან, ცხენები გაიყვანეს საძოვრად და თვით დაბანაკდნენ იქვე ავარიელების ახლო.

ივ. ბუქურაული.

(გაგრძელება შემდეგ)

წერილი რედაქციის მიმართ.

—:—

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ, ამ მცირე შენიშვნას ადგილი მისცეთ.

ბ. ალბანელმა „ერის“ უკანასკნელ ნომერში დაამთავრა თავისი საინტერესო წერილი მთის შესახებ. მაგრამ რამდენადაც წერილი საინტერესოა თავის შინაარსით, იმდენად მოულოდნელად და უმართებულოდ მომეჩვენა ბ. ალბანელის გამოლაშქრება ჩემდა წინააღმდეგ. იგი ამბობს, რომ მე მაყვალას დაცვის დროს ვითომდა მომიყვანია სამი საბუთი.

ერთი:—„ბასტილია“. „ბასტილია“ საბუთი არ იყო და არ არის; ეს იყო მხოლოდ შედარება: ოჯახი, სადაც არ არის ცოლ-ქმრის შორის ნდობა და პატივის-ცემა, სადაც მეფობს მხოლოდ ძალდატანება, ასეთი ოჯახი მე შევადარე საპყრობილეს, რომელიც უნდა დაინგრეს, როგორც ბასტილია... ამიტომ ბ. ალბანელის ირონია როგორღაც უგემური გამოდის.

მეორე: „ეკლესიის გავლენა მთიელზედ—დამცველის ფანტაზიაა“.

ეს შენიშვნა სამართლიანი იქნებოდა, მხოლოდ ერთი სულ პატარა პირობით კი: რომ **რამე** მეთქვას ეკლესიის გავლენის შესახებ!.. სჩანს ბ. ალბანელმა რაღაც გაიგონა –გაიგონა სიტყვები: მღვდელი, ეკლესია, სანთელი,—მაგრამ ვერ გაუგონია, ან ვერ მიმხვდარა, თუ რისთვის იყო ეს სიტყვები თქმული. მე ვიყავი დამცველი. დამცველის სიტყვა უმთავრესს თავის მუხლებში დამოკიდებულია ბრალმდებელის სიტყვაზე. თუ დაცვა გინდა—უნდა დაარღვიო ბრალდება. ბრალ-მდებელმა კი მაყვალას შესახებ წარმოსთქვა ასეთი აზრი: „რად გათხოვდა მაყვალაო? ყოველთვის შეეძლო უარი ეთქვა გათხოვებაზე და თუ კი მისთხოვდა გელას, ვალდებული იყო ერთგული ყოფილიყო მისიო“. ეს ბრალდებითი მუხლი ჩემმა თანადამცველმა, ბ. გომართელმა, თავის მშვენიერ სიტყვაში უყურადღებოდ დასტოვა. ამიტომ დავისახე ჩემ მოვალეობად, პასუხი გამეცა. გავეცი კიდეც.

როდის არის გასათხოვარი ქალი თავისუფალი ყოველ ბრალდებისაგან? ჩემის აზრით მხოლოდ ჯვარისწერის დროს, როცა იგი სდგას მღვდლის წინა, თავის საქმროს გვერდით, ისეთ საკრებულო ადგილში, სადაც აღკრძალულია, სადაც შეუძლებელია ყოველი ძალ-დატანება, ე. ი. ეკლესიაში. მაშინ მღვდელი ეკითხება ხოლმე ქალსა: თავის სურვილით სთხოვდება იგი, თუ არა? მაშინ ქალს შეუძლია სთქვას „არა“—და ჩაშლება ყოველი ქორწინება. მაყვალას ალბად ეს არ უთქვამს—**რადა?** აი ეს საკითხი ჰთხოულობდა ახსნას. მეცავხსენი, როგორც შემეძლო. მე დავინახე, რომ ჯვარის-წერა ისეთი მომენტია ახალგაზრდა ქალის ცხოვრებაში, რომ ფსიხოლოგიურად შეუძლებელია მაშინ ქალმა შეგნებულად განსაზღვროს და გაითვალისწინოს თავისი უფლებრივი მდგომარეობა; აქ იმაზე გავლენა აქვს ყველაფერს—მღვდელს, სანთელს, ხალხს, ლოცვას, ეკლესიას... ეკლესიას, ისე კი არა, როგორც რელიგიურს დაწესებულებას; ლოცვას, ისე კი არა, როგორც განსაზღვრულს შინაარსს... არა. ეკლესიის მაგივრად შეიძლება უბრალო გამოქვაბული იყოს კლდეში, ლოცვის მაგივრად შეიძლება მხოლოდ გაურკვეველი დუდუნი ისმოდეს დიაკვნისა... ეს სულ ერთია. საქმე იმაშია, რომ ქალი ჰგრძნობს და არ შეიძლება არა ჰგრძნობდეს, რომ რაღაც საშინელი და არაჩვეულებრივი ჰხდება იმის ცხოვრებაში, რომ იგი სდგას რაღაც უფსკრულის პირად, რომ რაღაც შიში იშლება გულში და საკვირველად აცახცახებს და ახტუნებს ძარღვებს მკერდში და მკლავებში... იწყება ახალი ხანა მისი ცხოვრებისა... ამისთანა წამს ქალი ვერ იტყვის ვერაფერს, და თუ ამბობს „ჰოს“, ხშირად მხოლოდ შეუგნებელად, ავტომატიურად.

მესამე: „რუსის კანონით არ უნდა ვეძებდეთ მაყვალას მოქმედების ახსნასო“. ეს მართალია, მაგრამ სამწუხაროდ, მე ამის შესახებ არაფერი არ მითქვამს. ვამბობდი მხოლოდ იმას, თუ რა უბედურებას წარმოადგენს ძალ-მომრეობითი გადალახვა ერის უფლებრივ ცნობიერებისა. თემმა განაქორწინა მაყვალას და გელას შეუღლება. მიუხედავად ამისა რუსის ადგილობრივმა მართებლობამ განქორწინებული ცოლი ძალით დაუბრუნა მისს ქმარს. რა არის ეს, თუ არა უფლებრივ ცნობიერების გადალახვა და აოხრება?!

ამ ადგილებიდან სჩანს, რომ ბ. ალბანელს ერთი აზრიც დამცველისა რიგიანად ვერ გაუგია, ან სურვილი არ ჰქონია გაეგო. უკაცრავად, მაგრამ კარგი ორატორი რომ ვიყო, გავკადნიერდებოდი და ვიტყოდი: კარგ მთქმელს, კარგი **გამგონეც** უნდაო..

გ. გვაზავა.

რედაქტორ-გამომცემელი: **პეტრე სურგულაძე.**

განყოფილება „**პროგრესის**“ სტამბისა, სასახლის ქ., თავად-აზნაურების სახლი